დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ვახტანგ ფირცხელავას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს N2 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ნადარეიშვილი

წევრები:

ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
მაია ფხაკაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
მანანა ჯაყელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
მარგარიტა ჯიქია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
მაკა ინაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ვახტანგ ფირცხელავას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242263484

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ჩხოროწყუ
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ჩხოროწყუ გობეჩიას ქუჩა N3
საფოსტო ინდექსი	5000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1700?schoolName=
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chkhorotsku2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599856563

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0 26 0000210158
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25 და 26 მარტი 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი საფეხურზე	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქალაქ ჩხოროწყუ, გობეჩიას ქუჩა N3(ერთი)
2	ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა საბაზო საფეხურზე	საბაზო საფეხური	ქართული	ქალაქ ჩხოროწყუ, გობეჩიას ქუჩა N3(ერთი)
3	ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა საშუალო საფეხურზე	საშუალო საფეხური	ქართული	ქალაქ ჩხოროწყუ, გობეჩიას ქუჩა N3(ერთი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2026 წლის 25 და 26 მარტს - სსიპ - ვახტანგ ფირცხელავას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს N2 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით “განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შესაბამისობა.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა - ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა კეთილგანწყობა. სკოლა დატვირთული რეჟიმით მუშაობს, სკოლა მოწესრიგებულია და სამუშაოდ ყველა პირობაა შექმნილი. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა, თბილი, მზრუნველობითი, ერთმუჭად შეკრული სასკოლო საზოგადოების ერთობა, რაც სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

სკოლის თანამშრომლები გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიული ეთიკით და პასუხისმგებლობის მაღალი დონით. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული სკოლა მასპინძლობდა სხვა სკოლას, რომელიც სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო დროებით იყო გადმოსული. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ მასპინძელმა სკოლამ შექმნა სრულფასოვანი, მხარდამჭერი გარემო სტუმარი სკოლისათვის — მათ (გადმოსულ სკოლას) არ ჰქონიათ „სტუმრის“ განცდა. ამის ნათელი მაგალითია ისიც, რომ სტუმარი სკოლის იდენტობა სრულად იყო წარმოდგენილი (მათ შორის, სკოლის აბრაც კი განთავსებული იყო შესასვლელში). მასპინძელი სკოლა ამ პროცესში გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმითა და ორგანიზებულობით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ძლიერ ინსტიტუციურ კულტურას.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, სპეციალურ მასწავლებელს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, ინტერვიუს პროცესში ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის ექსპერტი, მან ასევე განახორციელა I, II, III, IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კურიკულუმების რევიზია, ხოლო შეფასების ეტაპზე ითანამშრომლა საგნობრივ ექსპერტებთან, მისი მოსაზრებები და რჩევები გათვალისწინებულია საგნობრივი ექსპერტების მიერ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასებისას.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები (Microsoft Teams-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით).

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
-	-	-

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

–

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N-		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
-	-	-
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
-		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგად საგანმანათლებლო პროგრამადაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე)	*ხარვეზი*
-	-	-

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
-	-	-
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს სკოლის შენობის სრული ადაპტაცია, შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით (2026 წლის 30 აპრილი - 2027 წლის 30 აპრილი).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

-	-	-

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
-	-	-

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N...		
3.4.1.1.		**სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის არსებობა და შესაბამისი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებითი საფეხური)	**რჩევა**

2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სკოლას მიეცა რჩევა: **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, თუ კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ტრადიციების შესწავლა. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმებში ცნებებთან ერთად მიეთითოს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში. **მათემატიკა:** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს ელექტრონული რესურსების უფრო ხშირ გამოყენებას
2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**მათემატიკა:** სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით
2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**მათემატიკა** კურიკულუმში დიფერენცირებული მიდგომების ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო** თითოეული რემედიაციის შემდეგ მოსწავლემ მარტივი ნაშრომის სახით წარმოადგინოს რემედიაციის საფუძველზე განმტკიცებული ცოდნა. **მათემატიკა** სასურველია, შეიქმნას და გამრავალფეროვნდეს რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით. **ტექნოლოგიები:**

		წარმოდგენილი ზოგადი რუბრიკების ნაწილი საჭიროებს დამატებით კონკრეტიკას, რათა უფრო ზუსტად მიემართოს სამიზნე ცნებებსა და ინდიკატორებს.
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**მათემატიკა:** სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები:** **რჩევა:** სასურველია, კურიკულემზე მუშაობის დაგეგმვისას სკოლამ გაითვალისწინოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა დაგეგმილი აქტივობები იყოს შესრულებადი და ეფექტური მოსწავლეებისთვის. ასევე სასურველია, კურიკულუმში ცვლილებების შემთხვევაში, განსაზღვეული დროის შესაბამისად შეიტანონ შესაბამისი ჩანაწერი დოკუმენტში.
2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**მათემატიკა:** სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
2.2.2.2.	**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია სკოლაში შეიქმნას დამხმარე რესურსების ვალიდაციისთვის საჭირო დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს რესურსების ვალიდაციის პროცესს და ვალდებულებასაც გაუჩენს მასწავლებლებს, რომ ერთობლივად, კვალიფიკაციის შესაბამისად მოახდინონ რესურსების შერჩევა/ვალიდაცია და გაუზიარონ კოლეგებს სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. **უცხო ენა** სასურველია, უცხოური ენების კათედრისთვის ცალკე იყოს გამოყოფილი აუდიო აპარატურა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (საბაზო საფეხური)	*რჩევა*

2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სკოლას მიეცა რჩევა: **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია,(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) თუ კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ტრადიციების შესწავლა. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმებში ცნებებთან ერთად მიეთითოს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში. **მათემატიკა:** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს ელექტრონული რესურსების უფრო ხშირ გამოყენებას
2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**მათემატიკა:** სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით
2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**მათემატიკა** კურიკულუმში დიფერენცირებული მიდგომების ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო** თითოეული რემედიაციის შემდეგ მოსწავლემ მარტივი ნაშრომის სახით წარმოადგინოს რემედიაციის საფუძველზე განმტკიცებული ცოდნა. **მათემატიკა** სასურველია, შეიქმნას და გამრავალფეროვნდეს რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.

2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**მათემატიკა:** სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები:** **რჩევა:** სასურველია, კურიკულემზე მუშაობის დაგეგმვისას სკოლამ გაითვალისწინოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა დაგეგმილი აქტივობები იყოს შესრულებადი და ეფექტური მოსწავლეებისთვის. ასევე სასურველია, კურიკულუმში ცვლილებების შემთხვევაში, განსაზღვეული დროის შესაბამისად შეიტანონ შესაბამისი ჩანაწერი დოკუმენტში.
2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**მათემატიკა:** სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
2.2.2.2.	**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია სკოლაში შეიქმნას დამხმარე რესურსების ვალიდაციისთვის საჭირო დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს რესურსების ვალიდაციის პროცესს და ვალდებულებასაც გაუჩენს მასწავლებლებს, რომ ერთობლივად, კვალიფიკაციის შესაბამისად მოახდინონ რესურსების შერჩევა/ვალიდაცია და გაუზიარონ კოლეგებს სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. **უცხო ენა** სასურველია, უცხოური ენების კათედრისთვის ცალკე იყოს გამოყოფილი აუდიო აპარატურა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (საშუალო საფეხური)	*რჩევა*

2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სკოლას მიეცა რჩევა: **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია,(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) თუ კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ტრადიციების შესწავლა. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმებში ცნებებთან ერთად მიეთითოს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში. **მათემატიკა:** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს ელექტრონული რესურსების უფრო ხშირ გამოყენებას
2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**მათემატიკა:** სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით
2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**მათემატიკა** კურიკულუმში დიფერენცირებული მიდგომების ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო** თითოეული რემედიაციის შემდეგ მოსწავლემ მარტივი ნაშრომის სახით წარმოადგინოს რემედიაციის საფუძველზე განმტკიცებული ცოდნა. **მათემატიკა** სასურველია, შეიქმნას და გამრავალფეროვნდეს რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით. **ტექნოლოგიები:**

		წარმოდგენილი ზოგადი რუბრიკების ნაწილი საჭიროებს დამატებით კონკრეტიკას, რათა უფრო ზუსტად მიემართოს სამიზნე ცნებებსა და ინდიკატორებს.
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**მათემატიკა:** სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები:** **რჩევა:** სასურველია, კურიკულემზე მუშაობის დაგეგმვისას სკოლამ გაითვალისწინოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა დაგეგმილი აქტივობები იყოს შესრულებადი და ეფექტური მოსწავლეებისთვის. ასევე სასურველია, კურიკულუმში ცვლილებების შემთხვევაში, განსაზღვეული დოოირს შესაბამისად შეიტანონ შესაბამისი ჩანაწერი დოკუმენტში.
2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**მათემატიკა:** სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
2.2.2.2.	**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია სკოლაში შეიქმნას დამხმარე რესურსების ვალიდაციისთვის საჭირო დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს რესურსების ვალიდაციის პროცესს და ვალდებულებასაც გაუჩენს მასწავლებლებს, რომ ერთობლივად, კვალიფიკაციის შესაბამისად მოახდინონ რესურსების შერჩევა/ვალიდაცია და გაუზიარონ კოლეგებს სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. **უცხო ენა** სასურველია, უცხოური ენების კათედრისთვის ცალკე იყოს გამოყოფილი აუდიო აპარატურა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

2026 წლის 25 და 26 მარტს - სსიპ - ვახტანგ ფირცხელავას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს N2 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით "განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შესაბამისობა.

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია,ადგილზე შეისწავლა არსებული სიტუაცია და წარადგინა დასკვნის პროექტი. აღნიშნული პროექტის მიხევით ავტორზაციის სტანდართან შესაბამისობაში ექსპერტთა ჯგუფმა გამოკვეთა რამდენიმე მიგნება - ხარვეზი. კერძოდ, მესამე სტანდარტის შემხთვევაში, შეუსაბამობა დაფიქსირდა შემდეგ ინდიკატორებთან: **3.4.1.1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა** - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა : საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; **3.5.1.4 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** - ექსპერტთან ვიზიტის დროს სკოლის მეორე სართული არ იყო ადაპტირებული (კიბე). მეორე სტანდარტის მიმართლებით, შეუსაბამობა დადგინდა **2.2.2.3 კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** -ექსპერტთან ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სკოლამ გამოაგზავნა არგგუმენტირებულიწერილი, რომელსიც დეტალურად არის გაწერილი მიგნებების შესაბამისი რეაგირება - ქმედებები. ექსპერტთა გუფმა სრულად გაიზიარა წარმოადგენილი დოკუმენტაცია და სკოლის შესაბამისობის გეგმა. კერძოდ, ინდიკაოტორის მოთხოვნის ფარგლებში **3.4.1.1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური**

უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა - საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; - სკოლამ მოიპოვა აღნიშნული თანხმობა და შესაბამისად დაამტკიცა საგანგებო მართვის გეგმა. **2.2.2.3 კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.** ინდიკატორის ფარგლებში სკოლას სრულად აღჭურვა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (დამადასტურებელი ფოტო მასალა). ხოლოდ ინდიკატორი **3.5.1.4 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** - ექსპერტთან ვიზიტის დროს სკოლის მეორე სართული არ იყო ადაპტირებული (კიბე), არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას, სკოლამ გაწერა გეგმა და შეუსაბამობის აღმოფხვრის სავარაუდო თარიღები : 30.04.3036 - 30.04.2027. შეუსაბამობის აღმოფხვრამდე, სსსმ მოსწავლეებისთვის სერვისის მიწოდება მოხდება პირველ სართულზე, ადაპტირებულ სივრცეში. აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით **სკოლას მიეცა რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით (2026 წლის 30 აპრილი - 2027 წლის 30 აპრილი), უზრუნველყოს სკოლის შენობის სრული ადაპტაცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ვახტანგ ფირცხელავას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს N2 საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს - სკოლის მისიაა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, ფიზიკურად და გონებრივად განვითარებული, კონკურენტუნარიანი მოქალაქეების აღზრდა მათთვის უსაფრთხო, კეთილგანწყობილ და ჯანსაღ გარემოში STEM საგნების გაძლიერებული სწავლების და ხარისხიანი განათლების მიწოდების გზით.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რადგან იგი ორიენტირებულია პიროვნების ჰოლისტურ განვითარებაზე — როგორც ინტელექტუალურ, ასევე ფიზიკურ ჭრილში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბებას, რაც ეროვნული მიზნების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. ასევე, კონკურენტუნარიანი მოქალაქის აღზრდა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა, მათ შორის STEM მიმართულების გაძლიერებით, პასუხობს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს. უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაც სრულ შესაბამისობაშია განათლების ეროვნულ სტანდარტებთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლის სრულფასოვან განვითარებას. **1.1.1.1. ინდიკატოორი შეესაბამება.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისისაა და ხედვაში მკაფიოდ იკვეთება როგორც სკოლის როლის გააზრება, ასევე მისი ფუნქცია სასკოლო საზოგადოების წინაშე.

პირველ რიგში, ნათლად არის ასახული, უსაფრთხო სივრცის როლის გააზრება: სკოლა ხაზს უსვამს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აღნიშნულია, რომ გარემო არის „უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და ჯანსაღი“, ხოლო სასკოლო საზოგადოების წევრები „თავს დაცულად და დაფასებულად გრძნობენ“, (რაც აღინიშნა სასკოლო საზოგადოებამ, ექსპერთების მიერ ჩატარებული ინტერვიურების დროს).

მეორე მხრივ, სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტიც მკაფიოდ არის წარმოდგენილი. სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური განათლებით, არამედ ქმნის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს. მაგალითად:

- სოციალური სივრცის ფუნქცია ჩანს მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობებში, თანამშრომლობით პროექტებსა და სასკოლო კლუბებში, რაც ავითარებს მოქალაქეობრივ და სოციალურ უნარებს;
- კულტურული სივრცის ფუნქცია ვლინდება არაფორმალური განათლების ღონისძიებებში, კულტურულ აქტივობებსა და ღირებულებებზე დაფუძნებულ სასკოლო ცხოვრებაში, რაც ხელს უწყობს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების მიღებას.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პრინციპები სისტემურად არის ინტეგრირებული კურიკულუმში, სასწავლო აქტივობებსა და სასკოლო პროექტებში.

შესაბამისად, სკოლა მკაფიოდ მოიაზრებს საკუთარ თავს, როგორც უსაფრთხო, ინკლუზიური და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. **1.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სასკოლო საზოგადოების აქტიური და არაფორმალური ჩართულობა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში, ჩანს სკოლის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა გამოკითხვაში, სამუშაო ჯგუფებში.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ სისტემურად დაგეგმა პროცესი – დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, განისაზღვრა მისი ფუნქციები და შემუშავდა შესაბამისი წესი (დადასტურებული ოქმებით). ეს მიუთითებს, რომ ჩართულობა იყო რეგულირებული და მიზანმიმართული.

მეორე მხრივ, სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობა აშკარად იკვეთება. კითხვარის მეშვეობით, პროცესში მონაწილეობდნენ ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვის შესახებ.

ასევე, პროცესი მოიცავს უკუკავშირის მრავალეტაპიან მექანიზმს – დოკუმენტის პროექტის გაზიარება, მიღებული შენიშვნების გათვალისწინება და SWOT-ანალიზზე დაყრდნობით დახვეწა.

გარდა ამისა, წარმოდგენილია სანდო და მრავალფეროვანი მტკიცებულებები: სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სხდომის ოქმები, კითხვარები, დოკუმენტის ვერსიები და მისი საჯარო გავრცელება.

შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლამ უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. **1.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

მისია, ხედვა და ღირებულებები არა მხოლოდ გაზიარებულია, არამედ თანამშრომლობით, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით არის შექმნილი და დამტკიცებული.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ გაზიარება არ არის ერთჯერადი ან ფორმალური პროცესი — იგი წარმოადგენს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების განუყოფელ ნაწილს. სკოლამ უზრუნველყო დოკუმენტის პროექტის მრავალეტაპიანი გაზიარება: იგი გავრცელდა ელექტრონულად (მათ შორის, პირისპირ და დისტანციურად კლასის ჯგუფების მეშვეობით მშობლებთან), რაც უზრუნველყოფდა ფართო წვდომას და უკუკავშირის მიღებას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისგან. ასევე, გამოყენებულია მრავალფეროვანი მექანიზმები — ონლაინ კომუნიკაცია, დოკუმენტის საჯარო გავრცელება (სკოლის Facebook გვერდი გვერდზე), მისი განხილვა სასკოლო შეხვედრებსა და ღონისძიებებზე, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას და ინკლუზიურობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მიღებული უკუკავშირი რეალურად იქნა გათვალისწინებული — დოკუმენტი დამუშავდა, დაზუსტდა და საბოლოო ვერსია დამტკიცდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც ადასტურებს, რომ გაზიარება იყო ორმხრივი, აქტიური და შედეგზე ორიენტირებული პროცესი. შედეგად, სკოლაში მისია, ხედვა და ღირებულებები არა მხოლოდ ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის, არამედ გაზიარებულია, გააზრებულია და ერთობლივად შექმნილი, რაც აძლიერებს მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას და უზრუნველყოფს სკოლის ერთიან ღირებულებით საფუძველზე ფუნქციონირებას. **1.1.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ფილოსოფია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი არა მხოლოდ სასკოლო საზოგადოებისთვის, არამედ ყველა დაინტერესებული პირისათვის. კერძოდ, დოკუმენტი გამოქვეყნებილია სკოლის ვებ გვერდზე, სკოლის შენობის შესასვლელში. **1.1.1.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწდება, სსიპ ვახტანგ ფირცხელავას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს N2 საჯარო სკოლა და სამართლებრივი ფორმა (სსიპ) შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის №448 ბრძანებას, რომლის მიხედვითაც საჯარო სკოლები დაფუძნებულია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ამასთან, სახელწოდება მოიცავს სკოლის ტიპს, მდებარეობას და მინიჭებულ სახელს, რაც შესაბამისობაშია 2007 წლის №194 ბრძანებით განსაზღვრულ წესთან. **1.1.1.6. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

SWOT ანალიზი
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი 11
სამუშაო ჯგუფის ოქმი
სკოლის ვებ- გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1700?schoolName

საჯარო სკოლის წესდება ფეისბუქ გვერდი. https://www.facebook.com/profile.php?id=100064362892625
ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნის შესახებ
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას გააჩნია ჩამოყალიბებული, სტრუქტურირებული და პრაქტიკულად გამოყენებადი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს როგორც დაგეგმვის პროცესს, ასევე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მექანიზმებს. შესაბამისად, დოკუმენტი სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს და წარმოადგენს სკოლის ეფექტიანი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული განვითარების საფუძველს.
კერძოდ, დოკუმენტი წარმოადგენს სრულფასოვან მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომელიც დეტალურად აღწერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, გაზიარების, დამტკიცების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს. განსაზღვრულია ეტაპები, პასუხისმგებელი პირები (დირექტორის მოადგილე, სამუშაო ჯგუფი) და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობას და მართვადობას.

მეთოდოლოგია ასევე მოიცავს სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმებს. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული ჩართული მხარეები (დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, სამეურვეო საბჭო, თემი) და მათი მონაწილეობა უზრუნველყოფილია როგორც სამუშაო ჯგუფის ფორმატით, ასევე დოკუმენტების გაზიარებითა და უკუკავშირის მიღებით. ეს სრულად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნას პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების შესახებ.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის კონკრეტულ საშუალებებს — მონაცემების შეგროვება სასკოლო საზოგადოებისგან, სტატისტიკური მაჩვენებლების (აკადემიური მოსწრება, დასწრება, ჩართულობა და სხვ.) ანალიზი, SWOT ანალიზის გამოყენება. ეს მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებები ეფუძნება მტკიცებულებებსა და რეალურ საჭიროებებს.

დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და თანამონაწილეობის პრინციპები, ასევე მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხები (ელფოსტა, სოციალური მედია, შეხვედრები, საჯარო განხილვები), რაც უზრუნველყოფს პროცესის ღიაობასა და ინკლუზიურობას. **1.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სტრატეგიული გეგმა არის შვირდწლიანი და ციკლური, აქტივობები გაწერილია ყველა წელზე. სტრატეგიული მიზნები შეესაბამება სკოლის ფილოსოფიას (მისიას, ხედვასა და ღირებულებებს) და ლოგიკურად უკავშირდება ზოგად მიმართულებებს (სწავლების ხარისხი, უსაფრთხო გარემო და ა.შ.). სტრატეგიული გეგმა მოიცავს:

სტრატეგიული მიზნებს, გამოკვეთილის სულ 5 მიზანი : სწავლა-სწავლების ხარისხის ზრდა; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს შექმნა; სასკოლო საზოგადოების ჩართუობა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება. თითოეული მიზანი ჩაშლილია შსაბამის ამოცანებად და თან ახლავს განხორციელების ვადები. შვრდლიანი სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილებით, განხილულია სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. **1.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გაწერილია 2025-2026 სასწავლო წელზე. სკოლის ერთწლიანი საოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლინი სტრატეგიული გეგმისგან. ერთწლიანი სამუშო გეგმის შედგენისას, სკოლა ეყრდნობა SWOT ანალიზის შედეგებს. **1.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნის შსაბამის საქმიანობას, პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რეალისტური და განხორციელებადია. **1.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
სკოლის სტრატეგიული გეგმა;
სკოლის სამოქმედო გეგმა სამეურვეო;
საბჭოს ოქმი პედ. საბჭოს ოქმი;
სამეურვეო საბჭოს ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის კონკრეტულ საშუალებებს — მონაცემების შეგროვება სასკოლო საზოგადოებისგან, სტატისტიკური მაჩვენებლების (აკადემიური მოსწრება, დასწრება, ჩართულობა და სხვ.) ანალიზი, SWOT ანალიზის გამოყენება. დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნულია, რომ სკოლა სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შეფასება განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზა. **1.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინსა და შეფასებას. დოკუმენტში გაწერილია შეფასების ინსტენსივობდა და შეფასების მიმართულებები. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ნაბიჯები განხორციელების ეტაპზეა და პროცესი არ არის დასრულებული. **1.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი არეგულირებს მიღებული შედეგების გასაჯაროების ეტაპებსა და მექანიზმებს. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ნაბიჯების განხორციელება იგეგმება სამომავლოდ. **1.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი ცვლილებების შეტანის პირობები და ვადები. სკოლა რეგულარულად აწარმოებს გამოკითხვებს, დაკვირვებებს და გეგმავს, რომ სამომავლოდ გეგმების შესრულების ანალიზს გამოიყენებს მომავალი საქიანობის დასაგეგმად. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ნაბიჯების განხორციელება იგეგმება სამომავლოდ. **1.2.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;
სტრატეგიული გეგმა;
სამოქმედო გეგმა;
სკოლის დირექტორის ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სტრუქტურას განსაზღვრავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, შვიდი საგნობრივი კათედრა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის მართვის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურის სქემა/ორგანოგრამა, რომლითაც განსაზღვრულია თანამდებობრივი დაქვემდებარებები და ურთიერთმიმართებები. სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და მოქმედი პირების უფლებამოვალეობები შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, ზოგადი განათლების შესახებ კანონთან. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დატელურად აღწერს სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობებს. აღნიშნულს კიდევ მეტად აკონკრეტებს სკოლის დირექტორის ბრძანება „სკოლის თანამშრომელთა ფუნქციის განსაზღვის შესახებ“ და თითოეულ პირთან დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულება. **3.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია ანგარიშვალდებულებები და ფუნქციები, რომლებიც ხელს უნდა უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას. **3.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
ბრძანება „სკოლის თანამშრომელთა ფუნქციის განსაზღვის შესახებ“;
თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
სკოლის შინაგანაწესი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია „სკოლის თანამშრომელთა ფუნქციები“ და ინდივიდუალური ხელშეკრულებები. აღნიშნული დოკუმენტების ერთობა არეგულირებს კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის პროცესებს. პერსონალის მოზიდვა-შერჩევის პროცესს, პერსონალის შეფასების პროცესს და ა.შ.

სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსის“ (შემდგომში - შრომის კოდექსი) შესაბამისი შინაგანაწესი, მასში ასახულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; წახალისების სახე, პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები;

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტისა და შინაგანაწესის შესაბამისად. **3.1.2.1. ინდიკატორი შესაბამისია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში დანერგილია პერსონალის მართვასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიკაციისა და მართვის პრაქტიკა. დაწესებულება აფასებს მოსალოდნელ რისკებს, მათ შორის თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სამუშაო ურთიერთობების დასრულებასთან და შესრულებული სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებულ ფაქტორებს. აღნიშნული რისკების საპასუხოდ სკოლა წინასწარ ამუშავებს შესაბამის პოლიტიკებსა და რეაგირების მექანიზმებს, როგორიცაა პოზიციებზე კონკურსის დროული გამოცხადება და ფუნქციების დროებითი გადანაწილება კომპეტენტურ თანამშრომლებზე. შედეგად, უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის უწყვეტობა და ორგანიზაციული სტაბილურობა, რაც დადებითად აისახება დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

გაკვეთილების შემთხვევაში, საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, საჭიროებისამებრ ხდება მასწავლებლის ჩანაცვლება. იმავე კათედრის სხვა წევრი ითავსებს საათებს დირექტორის ბრძანების შესაბამისად და ა .შ. **3.1.2.2. ინდიკატორი შესაბამისია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. ვაკანსიები ქვეყნდება შესაბამის პორტალზე, სადაც წინასწარ არის განსაზღვრული მოთხოვნები, რაც კანდიდატებს აძლევს შესაძლებლობას

ინფორმირებულად ჩაერთონ კონკურსში. შერჩევის პროცესი მოიცავს დოკუმენტაციის წინასწარ შეფასებას, საკონკურსო კომისიის ფორმირებას მრავალმხრივი წარმომადგენლობით და გასაუბრების ეტაპს, რომელიც მიმდინარეობს ობიექტურობის დაცვით.

სკოლაში შემუშავებულია და პრაქტიკაში ხორციელდება პერსონალის შერჩევის მკაფიო მექანიზმი. პროცედურები გამჭვირვალეა, დოკუმენტაცია სრულად არის დაცული და ხელმისაწვდომი, ხოლო საკონკურსო კომისიის საქმიანობა სათანადოდ დოკუმენტირებულია. პერსონალის დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებით. ამასთან, პერსონალის პირადი საქმეები სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და შეიცავს ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას (ცნობას ნასამართლეობის შესახებ).

აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად აგრძელებს კვალიფიციური კადრების მოზიდვას — ამჟამად გამოცხადებულია ბიბლიოთეკარის ვაკანსია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დაწესებულება სისტემურად და უწყვეტად მართავს პერსონალის შერჩევის პროცესს. **3.1.2.3. ინდიკატორი შესაბამისია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ზოგადი საკვალიფიკაციო ჩარჩო რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, ხოლო სკოლის სპეციფიკისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დამატებით განისაზღვრება შიდა დოკუმენტებით (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით).

მასწავლებელთა შემთხვევაში საკვალიფიკაციო მოთხოვნები სრულად შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესს, ხოლო სკოლის სამედიცინო პერსონალის (ექიმი/ექთანი) საქმიანობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით.

შედეგად, სკოლაში უზრუნველყოფილია, რომ ყველა პოზიციაზე დასაქმებული პერსონალი აკმაყოფილებდეს როგორც კანონმდებლობით დადგენილ, ასევე დაწესებულების საჭიროებებზე მორგებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო და მხარდამჭერი პროცესების ხარისხიან და ეფექტიან განხორციელებას. **3.1.2.4. ინდიკატორი შესაბამისია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა სრულად ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულების მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, ფუნქციათა განაწილებისა და

საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში მკაფიოდ არის ასახული კოლეგიალურობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომები.

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კოლეგიალური ორგანო (პედაგოგრიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საკონკურსო კომისიები, საგობრივი კათედრები), რომლებიც უზრუნველყოფენ პერსონალის აქტიურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ როგორც სასკოლო, ისე საკლასო აქტივობებს, რაც ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას, გამოცდილების გაზიარებასა და საერთო მიზნებზე ორიენტირებულ მუშაობას.

შედეგად, სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი, ინკლუზიური და გუნდურობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურა, რაც სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებთან. **3.1.2.5. ინდიკატორი შესაბამისია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და აღიარების პრაქტიკა არის დანერგილი და შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. აღნიშნული პროცესი სისტემურ ხასიათს ატარებს და ხორციელდება როგორც კათედრების, ისე სკოლის სხვა კოლეგიალური ფორმატების ფარგლებში. კათედრების მუშაობის პროცესში მასწავლებლები აქტიურად განიხილავენ და იზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას, მიღწევებსა და ინოვაციურ მიდგომებს, რაც შემდგომში ადაპტირდება მათი ინდივიდუალური და საგნობრივი საჭიროებების შესაბამისად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მასწავლებლების ჩართულობა. ისინი რეგულარულად ახორციელებენ წარმატებული პრაქტიკის, რასაც თან ახლავს კოლეგების მხრიდან დაკვირვება, უკუკავშირი და რეფლექსია. ასევე სისტემატურად ხდება ტრენინგებიდან მიღებული ცოდნის გავრცელება, რაც აძლიერებს პროფესიულ განვითარებას და საერთო საგანმანათლებლო ხარისხს.

სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი გარემო, სადაც კათედრები ერთობლივად ქმნიან სასწავლო რესურსებს, კურიკულუმებსა და შეფასების ინსტრუმენტებს, ხოლო პრობლემების გადაჭრა მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. დამატებით, თანამშრომელთა მიღწევების აღიარება და წახალისება რეგულირდება შინაგანაწესით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მოტივაციასა და პროფესიულ ზრდას. **3.1.2.6. ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

შინაგანაწესი

საშტატო განრიგი;

საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებები;

საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;

თანამშრომელეთა პირადი საქმეები;
შრომითი ხელშეკრულებები თანამშრომლებთან;
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი. შეფასების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს უშუალო ხელმძღვანელის მიერ ან თვითშეფასებით; ან შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება და ა.შ. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე გაწერილია პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. **3.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება დაგეგმილია და ხორციელდება კვლევაზე დაფუძნებული მიდგომით, რაც შეესაბამება აღნიშნული კრიტერიუმის მოთხოვნებს. პროფესიული განვითარების საჭიროებები დგინდება კითხვარების საშუალებით, რის საფუძველზეც ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.
სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის ასახული როგორც გამოვლენილი საჭიროებები, ასევე მათზე რეაგირების კონკრეტული ღონისძიებები, როგორიცაა ტრენინგები, განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეების გაცნობა და ურთიერთდასწრების პრაქტიკა. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფილია ხარისხის განვითარების ჯგუფის აქტიური

ჩართულობით, რომელიც აკვირდება სასწავლო პროცესს, ახორციელებს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და უზრუნველყოფს კონსტრუქციულ უკუკავშირს. **3.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, მხარს უჭერს და მოტივაციას უზრდის კარიერული განვითარების გზაზე. სკოლამ აღნიშნა, რომ მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში, ჩართულები არიან სხვადასხვა ტრენინგში. რაც შეეხება სხვა თანამშრომლებს, მათი საჭიროებების დადგენა თვითშეფასების საფუძველზე ხდება და შესაძლებლობების ფარლებში პერსონალი გადის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს.

სკოლა მაქსიმალურ მხარდაჭერას გამოხატავს მისი მასწავლებლების მიმართ, რომელთაც სურთ კარიერული წინსვლა თუ პროფესიული განვითარება, მხარდაჭერა გამოიხატება მათი მაქსიმალური ინფორმირებულობით შესაბამისი ტრენინგ კურსებისა თუ მოსამზადებელი პროგრამების გაცნობით. **3.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, თანამშრომელთა სკოლაში ადაპტაციაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე, რომელიც წარადგენს შესაბამის საგნობრივი კათედრის თავმჯდომარესთან და აცნობს სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, სტრატეგიულ მიზნებს, ხდება სკოლის დათვალიერება და კაბინეტლაბორატორიების გაცნობა, ფუნქცია - მოვალეობების გაცნობა და ახსნა, შინაგანაწესის გაცნობა, თანამშრომლებთან წარდგენა. კათედრის თავმჯდომარე აცნობს საგნის სწავლების სპეციფიკას, არსებულ რესურსებს და სხვა. **3.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლაში წარმატებული თანამშრომლის წახალისება განსაზღვრულია შინაგანაწესით და ასევე გამოიყენება სხვადასხვა ფორმა: საჯარო მადლობა, წარმატების ასახვა სოციალურ ქსელში, ფულადი პრემია. შემუშავების ეტაპზეა სკოლაში წლის საუკეთესო მასწავლებლის შეფასების მექანიზმის სტანდარტები. სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს, მომართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის რესურსით. **3.2.1.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს სკოლის მზაობას ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვისა და განვითარების მიმართულებით. განსაზღვრულია შესაბამისი სტრუქტურა, ფუნქციები და ძირითადი საქმიანობები, რაც ქმნის ხარისხის მართვის ეფექტიანი პროცესის საფუძველს. ამასთან, დოკუმენტში უკვე იკვეთება ხარისხის მართვის ციკლის ძირითადი ეტაპები (დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, მოქმედება) და აღწერილია სასწავლო წლის დასაწყისში დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროცედურები, რაც მიუთითებს სისტემურ მიდგომაზე და პროცესების ორგანიზებულად წარმართვაზე.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში დაგეგმილი აქტივობები (კურიკულუმების შემუშავება, შეფასების მექანიზმების განსაზღვრა, მონიტორინგის ინსტრუმენტები, წინა წლის ანალიზი და პრევენციული ღონისძიებები) უკავშირდება სტრატეგიულ მიზნებს და უზრუნველყოფილია შესაბამისი დოკუმენტებითა და სტრუქტურებით (სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ხარისხის განვითარების ჯგუფის საქმიანობა). **3.3.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც მიუთითებს პროცესული მიდგომის გააზრებულ და სისტემურ დანერგვაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას და უზრუნველყოფს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული მიზნებისა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე ორიენტირებულ საქმიანობას.

მმართველობითი პროცესები (სტრატეგიული და წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა), ძირითადი პროცესები (კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მოსწავლეთა კორპუსის მართვა) და დამხმარე პროცესები წარმოდგენილია სრულად და ურთიერთდაკავშირებულად. ამასთან, პროცესების მართვა მხარდაჭერილია შესაბამისი დოკუმენტებითა და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებით, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიან განხორციელებას. **3.3.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სკოლას შექმნილი და დირქტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლაში საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი. რაც უზრიუნველყოფს, საჩივრების განხილვის დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ეფექტიან მექანიზმს. გარდა ამისა, შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, და საჭიროების შემთხვევაში შეიქმნება სააპელაციო კომიტეტიც. **3.3.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში არსებობს სამართლებრივი და სისტემა-ორგანიზაციული ბაზა მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერ წარმომადგენლების უფლებების დაცვისათვის (ხელშეკრულება, შინაგანაწესი, დისციპლინური კომიტეტი). სკოლას ამასთანავე შეექმნილი აქვს საჩივრის მიღებისა და განხილვის მარეგულირებელი დოკუმენტი. ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლის , პერსონალის , მშობლის /კანონიერი წარმომაგდლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. **3.3.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;

ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით სკოლაში არის სხვადასხვა მექანიზმი, ფოიეში თვალსაჩინო ადგილას არის საინფორმაციო დაფა, სადაც განთავსებულია აუცილებელი დოკუმენტაცია. ასევე სოციალური ქსელში აქტიურია სკოლის გვერდი, ვებგვერდი. ერთად კლასის დამრიგებლები ახდენენ მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით. მოსწავლეები განცხადების საფუძველზე აკეთებენ არჩევანს. პროცესი გამჭვირვალეა და აადვილებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას. ასევე ინფორმირებისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, თიმსის პლატფორმა. სხვადსხვა გამოკითხვა სასკოლო საზოგადოების მოსაზრების გასაზიარებლად. მაგალითად სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობისას ჩატარებული გამოკითხვა და ა.შ. **3.3.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად. კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემადგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. სამეურვეო / პედაგოგიური საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში.
სკოლაში არსებული ინსტიტუციები მათი ფუნქცია მოვალეობებით ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში როგორც დაგეგმარების, ისე განხორციელების კომპონენტში. **3.3.2.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
სამეურვეო საბჭოს ოქმები;
სკოლის Facebook გვერდი;
სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლისათვის პრიორიტეტულია უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლას აქვს ცალკე გამოყოფილი და აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. სკოლა აწარმოებს სკოლის ეზოსა, გარე და შიდა პერიმეტრის მონიტორინგს. სკოლას ჰყავს ორი მანდატური. ყველა სართულზე, დერეფნებში მორიგეობენ მასწავლებლები.

სკოლას აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული), რომლის მიხედვითაც შენობა სტრუქტურულად მდგრადია, თუმცა საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა უკვე ჩართულია რეგიონული მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამაში და დაგეგმილია სარემონტო სამუშაოები, რაც დადებითად აისახება უსაფრთხოების ხარისხზე.

სკოლაში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და გადაგზავნილია შესაბამის ორგანოში შესათანხმებლად. აღნიშნულთან მიმართებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია : გეგმა შეთანხმდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მითითებულ ვადებში (16.01.2026 – 28.02.2026) და დამტკიცდეს სკოლის დირექტორის მიერ. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ წარმოადგინა საგანგაებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სამოქალაქო უსაფრთოების დეპარტამენდის მიერ გადმოგზავნილი წერილი (2026 წლის 8 აპრილის ბრძანება MIA 1 26 01231128), რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეესაბამება წესებს და მოთხოვნებს.

სკოლას შემუშავებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ რეგულაციებთან. ასევე განხორციელებულია მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადასტურებლად.

უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ჩართულია შესაბამისი ადამიანური რესურსი: სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგისა და გარეშე პირთა გადაადგილების კონტროლს. სკოლას ჰყავს ექიმიც, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და საგანგებო შემთხვევებზე სწრაფი რეაგირებისათვის. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირი. **სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის არსებობა და შესაბამისი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას.

3.4.1.1. ინდიკატორი შეესაბამება;

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების ხელმისაწვდომობას მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი/პუნქტი და წარმოებს შესაბამისი სამედიცინო აღრიცხვა. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილია ექიმის ხელმისაწვდომობა. ამასთან, უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები სართულებზე და სკოლას ჰყავს ორი მანდატური. **3.4.1.2. ინდიკატორი შეესაბამება**.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფილია შიდა და გარე პერიმეტრების კამერებით. სკოლას ჰყავს ორი მანდატური. დაცულია სკოლაში უცხო პირების შესვლის პროცედურა. სკოლა გარე პერიმეტრზე აწარმოებს ვიდეო მონიტორინგს რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სკოლის ტერიტორიაზე რაიმე ფორმით უცხო პირების შემოსვლა სკოლის ქონების დაკარგვა და დაცული იყოს მოსწავლეთა უსაფრთხოება. სკოლას დირექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი ჰყავს კოლეგიალური ორგანო - მრჩეველთა საბჭო,

რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. **3.4.1.3. ინდიკატორი შეესაბამება**;

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, რაც უზრუნველყოფს ბავშვთა დაცვის მექანიზმების ეფექტიან ფუნქციონირებას.

სასკოლო საზოგადოება ერთიანობაში ქმნის თბილ, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს, სადაც დაცულია მოსწავლეთა კეთილდღეობა და მხარდაჭერილია მათი ჰარმონიული განვითარება. სკოლაში აქტიურად ინერგება თანამშრომლობითი კულტურა — მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემოქმედებით ღონისძიებებს.

ამასთან, სკოლის თვითმმართველობა გამოირჩევა მაღალი აქტიურობით, ინიციატივიანობითა და მრავალფეროვანი შემოქმედებითი და შემეცნებითი პროექტებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებასა და სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას. **3.4.1.4. ინდიკატორი შეესაბამება**;

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა ორგანიზებულად და სისტემურად ხორციელდება. აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სტანდარტების შესრულებასა და კონტროლს.

დაწესებულებაში დასაქმებულია სამი დამლაგებელი, რომლებიც არა მხოლოდ სკოლის დასუფთავებას ახორციელებენ, არამედ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდშიც მუდმივად ზრუნავენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, რაც ხელს უწყობს სუფთა და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას.

ამასთან, სკოლის ექიმი კოორდინაციას უწევს ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებს და აქტიურად არის ჩართული პრევენციულ საქმიანობაში. იგი რეგულარულად ატარებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრებს მოსწავლეებთან ჰიგიენის მნიშვნელობის შესახებ, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი ჩვევების ჩამოყალიბებასა და მათი ცნობიერების ამაღლებას. **3.4.1.4. ინდიკატორი შეესაბამება**;

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ “საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. **3.4.1.6. ინდიკატორი შეესაბამება**;

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. **3.4.1.7. ინდიკატორი შეესაბამება**;

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. ელექტრონულ სისტემებთან წვდომისას, ყველა მომხმარებელს აქვს საკუთარი მომხმარებლის სახელი და პაროლი. ელექტრონული ჟურნალზე წვდომა აქვს ყველა პედაგოგს უნიკალური მომხმარებლის სახელითა და პაროლით. სკოლის ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს Office365 ლიცენზირებული მომხმარებლის სახელი და პაროლი. სკოლის კომპიუტერულ ქსელში ჩართული კომპიუტერები ჩასმულია დომეინში. შესაძლოა ითქვას, რომ ემისის მიერ სკოლაში დაცულია კომპიუტერული ქსელი და მონაცემები, რომლებსაც ინახავს eflow და eschool. **3.4.1.8. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაცვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება;
ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება;
პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი
დასკვნა შენობის მდგრადობის
შესახებ მოსწავლეთა მობილობის წესი (ბრძანება N 2-21)
წერილი საგანგებო სიტუაციის სამსახურთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა -ასკოლის შენობა მდებარეობს დაბა ჩხოროწყუში, გობეჩიას ქუჩა N3. შენობა-ნაგებობა განთავსებულია არასასოფლო-სამეურნეო ტიპის ნაკვეთზე. ნაკვეთი ფართობია 4882.00 კვ. მ. აღნიშნულ მიწის ფართობზე განთავსებულია სამი ნაგებობა: N1 - გარე საპირფარეშო (მოწესრიგებულია, თუმცა მას არ იყენებს კოლა, რადგან სკოლი შენობაშივე არის საპირფარეში); N2 - სკოლის შენობა, რომელშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და N3 - გათბობის სისტემის ტერიტორია - საქვაბე.
სკოლის შენობა ორსართულიანია. საერთო ჯამშ, სულ არის 16 საკლასო ოთახი და ამას დამატებული, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, დირექტორისა და ადმინისტრაციის ოთახი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურს ოთახი, ექიმის ოთახი, დიდი სივრცის ოთახი, რომელიც დარბაზის ფუქნციას ითავსებს. საერთო ფლობის დამადასტურებელი ინფომრაციით სკოლა ფლობს 415 მერხს და სკამს (კომპლექტს).
სასწავლო პროცესისთვის სკოლას გამოყოფილი აქვს 40 პორტატული კომპიუტერი, ასევე კომპიუტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, და ადმინისტრაციაში (საქმის მწარმოებელთან, მნესთან). გარდა ამისა, სკოლა აქვს 3 პროექტორი, 2 პირტერი. სკოლას საავტორიზაციო განაცხადი წარმოდგენილია აქვს 400 მოსწავლეზე, აღნიშნული ინფრასტრუქუტრა შეესაბამება მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. 3.5.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია ყველასათვის, გაწერილია სამუშაო განრიგი კომპიუტერული ლაბორატორიისთვის. პირველ სართულზეა ექიმის ოთახი, რესურსოთახი, სააქტო დარბაზი (დიდი ზომის საკლასო ოთახი), ბიბლიოთეკა, გარე სივრცეში კი სპორტული მოედანი, სკოლის ეზო. მეორე სართულზეა კომპიუტერული ლაბორატორია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. **3.5.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიონდში სკოლას არ ჰყავდა ბიბლიოთეკარი, მას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიონდში სკოლას არ ჰყავდა ბიბლიოთეკარი, თუმცა ვაკანსია ჰქონდა გამოცხადებული აღნიშნულ პოსტზე. სკოლას გაწერილი აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი. სკოლის საბიბლიოთეკო ფონდი ჯამში შეადგენს 2072 ცალ წიგნს, მათ შორის: მხატვრულ ლიტერატურას, სასკოლო სახელმძღვანელოს. ბიბლიოთეკის წიგნები (ნაწილი) დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით (ბეჭედი პირველ და მეჩვიდმეტე გვერდზე). სკოლის ბიბლიოთეკის ფონდი განახლდა მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით. **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია განაახლოს წიგნადი ფონდი მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად; სკოლის ბიბლიოთეკართან ერთად (მომავალში) დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რაც შეუწყობს წიგნიერების უბარის განვითარებას. **3.5.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის პირველი სართული (შესასვლელი) ადაპიტრებულია. სკოლის მეორე სართული კი არ არის ადაპტირებული. ასევე ზოგიერთ კლასი შესასვლელი მოითხოვს მცირე ადაპტაციას. აღნიშნულის შესახებ (ფიზიკური გარემოს ადაპტაცია) სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. **არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას,** სკოლამ გაწერა გეგმა და შეუსაბამობის აღმოფხვრის სავარაუდო თარიღები (30.04.3036 - 30.04.2027). სკოლა აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრას გეგმავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახლაგაზრდობის სამინისტროთან თანამშრომლბით. ხოლო შეუსაბამობის აღმოფხვრამდე, სსსმ მოსწავლეებისთვის სერვისის მიწოდება მოხდება პირველ სართულზე, ადაპტირებულ სივრცეში. აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით (2026 წლის 30 აპრილი - 2027 წლის 30 აპრილი), სკოლამ უზრუნველყოს სკოლის შენობის სრული ადაპტაცია. **3.5.1.4 ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობა-ნაგებობა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლაში არსებობდეს სივრცეები: დარბაზი, დერეფნები, გარე სპორტული მოედანი, სკოლის ეზო, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. ყველაფერი ეს ერთად, მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ, შეიკრიბონ და დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები. **3.5.1.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მატერიალური რესურსების შესახებ დოკუმენტაცია;
ინვენტარიზაციის შედეგები;

ბიბლიოთეკის დებულება.
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
საკადასტრო აზომვითი ნახაზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია რომელიც აღჭურვილია 40 ლეპტოპი და ინტერნეტით, მათ შორის 25 ლეპტპი კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხოლო 15 კათედრებსა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, 4 ცალი ბუკი (პირველკლასელთა დამრიგებლებისთვის), 5 პერსონალური კომპიუტერი. 1 მარშუტიზატორი, 5 პროექტორი, 2 პრინტერი. **3.6.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. **3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი ;
შემოსული და გასული კორესპონდენციები ;
https:// eflow.emis.ge

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებლი. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება. მატერიალური წარმოებიდან, საქმისწარმოების წესის შესაბამისად, სკოლას აქვს შემოსული / გასული კორეპონდენცია; ბრძანებები და ხელშეკრულებების ჟურნალი. ასევე აქვს დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, რომლის მიზანია მოაწესრიგოს დოკუმენტების ბრუნვა, აამაღლოს დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხი და უზრუნველყოს დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობა. **3.6.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენებით. სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow, Eschool-ის ბაზა და office 365. სკოლა ელექტრონული სისტემის საშუალებით ახდენს სასწავლო პროცესის წარმართვას მაგალითად eschool სისტემას სადაც ხდება ცხრილის ატვირთვა მოსწავლეთა კლასებში განაწილება საგნებისა და მასწავლებლების განაწილება, ასევე eflow სისტემას დოკუმენტბრუნვის საჭიროების შესაბამისად. **3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool სისტემაში სკოლას სრულყოფილად აქვს ასახული მონაცემები. კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **3.6.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანანმანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. რისი დასტურიც გახლავს სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურებთან/დაწესებულებებთან. **3.6.1.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
გაგზავნილი კორესპონდენციები
მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი პროფილი
საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

საზოგადოებასთან ურთეირთობის პირი ჰყავთ ბრძანებით განსაზღვრული. საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის და მათი ინფორმირებულობისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, კერძოდ სკოლის ვებგვერდს, სოციალურ ქსელში არსებულ Facebook გვერდს, ელექტრონულ ფოსტას. სკოლას სოციალურ ქსელში აქვს გვერდი, რომელზეც ასახავს სასკოლო აქტივობებსა და მიმდინარე სიახლეებს, გვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა იყენებს ასევე ელექტრონულ ფოსტას, თიმსის პლათფორმასა და ელექტრონულ ჟურნალს. **3.6.3.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა ავრცელებს მის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას. **3.6.3.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა იღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებიდან, ასევე დაინტერესებული პირებიდან. ამისთვის ძირითადად იყენებს სოციალურ ქსელს. სკოლაში აქტიურად მოქმედებს სამეურვეო საბჭო, რომელიც სკოლის საზოგადოების წარმომადგენელია. სამეურვეო საბჭო განიხილავს სხვადასხვა საკითს და ოქმის სახით უკუკავშირს სთავაზობს სკოლას. გარდა ამისა, სკოლას აქვს სოციალური გვერდი, მშობლები ხშირად კომენტარის სახით, სკოლას აწვდიან უკუკავშირს. **3.6.3.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი,რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **3.6.3.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზედაც განთავსებულია ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი. **3.6.3.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ-გვერდი; https://skolebi.emis.ge/schools/1700?schoolName
მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი; https://eflow.emis.ge
მშობელთა კრების ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსურ რესურს განკარგავს სკოლის საჭიროებების შესაბამისად, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები შეესაბამება მის ფინანსურ რესურსს. სკოლას ასევ აქვს შესყიდვების გეგმასკოლის ბიუჯეტში გაწერილია თანამშრომელთა ხელფასები, კომუნალური ხარჯები და სხვა. სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური ანგარიშის შესახებ, სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე. **3.7.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიტორინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს ოქმები. **3.7.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები
შესყიდვების წესი
შესყიდვის უფლებამოსილის პირის შესახებ ანგარიშფაქტურა
მიღება-ჩაბარება
ზედნადები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელი არეგულირებს მოსწავლის კანონით გათვალიწინებული უფლებების დაცვას. შინაგანაწესი ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლიც განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნებისგან გადაცდომის საკითხებს და აძლევს რეკომენდაციას შესაბამის მხარეს. ასევე აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობაც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისკენ. სკოლას ჰყავს ორი მანდატური, რომლებიც იცავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და უფლებებს სკოლაში ნებისმიერ უარყოფით ფაქტს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. სკოლას სყავს ექიმი. ამასთან ერთად, სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქედო გეგმა, საზოგადოებრივი ეწსრიგისა და უსაფრთხოების დაცვის წესი. აღნიშნული დოკუმენტაცია, ინდივიდუალურად და ერთად იტხვალისწინებს მოსწავლეთა დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. **4.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

რეგულაციების ამსახველი დოკუმენტაცია, ერთობლივად, დამრიგებლის დებულების შესაბამისად, განიხილება მშობელთა კრებებზე, ამასთანავე აღნიშული დოკუმენტაცია ელმიშაწვდომია სკოლაში, საინფორმაციო დაფაზე და ასევე სკოლის ვებგვერდზე. **4.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მშბოლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში მკაფიოდ არის განსაზღვრული მხარეებს შორის უფლება/მოვალეობები. **4.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის შინაგანაწესი;
დამრიგებლის დებულება (სსგ)
მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა გამოცემს ბრძანებას მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა და სტატუსის აღდგენის, საფეხურის დაძლევის შესახებ. **4.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N113/ნ ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის პირადი საქმის ფორმა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესი''-ს შესაბამისად. კერძოდ მოსწავლის პირად საქმეში მოცემულია

მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება, მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენის ბრძანება (კონკრეტულ, ერთ შემთხვევაში), კლასიდან კლასში გადასვლის ბრძანების ნომერი (საერთო ბრძანება მიბმულია eflow-ზე), საფეხურის დაძლევის ქულა და შესაბამისი ბრძანების ნომერი. **4.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა მართავს შეხვედრებს მშობლებთან და აცნობს სასწავლო გეგმას, კურიკულუმებს. სასკოლო კლუბები ყალიბდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას, მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. სკოლაში ხაზგასასმელია საკლუბო მუშაობა, კლუბში წევრთა მიღება ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელწერით, აქტივობები საჯაროა და ქვეყნდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. სკოლას არ აქვს დამატებითი ფასიანი მომსახურება. **4.1.2.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და არ შეიცავს სამართლებრივ შეუსაბამობებს. სკოლას ჰყავს ვებგვერდისა და სკოლის სოციალურ გვერდის (Facebook) ადმინისრირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულარულ განახლებას, რაც ამცირებს მოძველებული ან არაზუსტი მონაცემების გავრცელების რისკს და ზრდის ნდობას სასკოლო საზოგადოების მხრიდან.
დამრიგებლები კი დახურულ ჯგუფებში აწვდიან ინფორმაციას მშობლებს. სკოლა იცავს არადისკრიმინაციულობის პრინციპს — გავრცელებული ინფორმაცია არ ანიჭებს უპირატესობას კონკრეტულ ჯგუფებს და უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. **4.1.2.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენის წესი;
სკოლის ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1700?schoolName
სოციალური ქსელი; https://www.facebook.com/-ზე
შობელთან დადებული ხელშეკრულებები; ბრძანებები მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის შესახებ..

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებს. დოკუმენტი აღწერს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებსა და მნიშვნელოვან ფაქტორებს. წესი მოიცავს პირველკლასელთა ადაპტაციას, სპეციალური საჭიროების მწონე მოსწავლეთა ადაპტაციას, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას. დოკუმენტში ასევე გაწერილია წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, ზოგადი რეკომენდაციები, დეადაპტაციის ნიშნები და ამ შემთხვევაში განსახორციელებელი ნაბიჯები. **4.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, პირველკლასელი, სპეციალური საჭიროების მქონე, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას ხელს უწყობს სწავლის დაწყებისთანავე. დოკუმენტში გაწერილია კონკრეტული ნაბიჯები, რაც უნდა განხორციელდეს ადაპტაციის პირველივე ეტაპიდან. **4.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც პერმანენტულად ესწრებიან გაკვეთილზე მასწავლებლებს (ურთერთდასწრების სახით). შემდგომ ამისა გაიცემა უკუკავშირი. მასწავლებლები გაკვეთილების მიმდინარეობისას აკვირდებიან მოსწავლეებს და გამოკვეთენ საჭიროებებს. საჭიროებების დადგენის შემთხვევაშიმოსწავლეებს სთავაზობს რემდიაციის პროგრამას, ან დიფერენცირებულ მიდგომას (აღნიშნული ასახულია საგნობრივ კურიკულუმებში). **4.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის ძირითადი და ზოგადი მექანიზმები. სკოლის დირექტორს ასევე ბრძანებით შექმნილი აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია ასევე აღნიშნული ჯგუფის დებულება და გაწერილია ზოგადი მექანიზმები. **4.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში აქტიურად მოქმედებს თვითმმართველობა, მათი ინიციატივითა და ადმინისტრაციის მხადაჭერით მუდმივად ხორციელდება სასწავლო-შემოქმედებითი პროექტები. რომელთა შორისაც არის: ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, ასევე ჩვენის სკოლის ბიბლიოთეკისთვის - მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განახლდა სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. მოსწავლეთა ინიციატივით შეიქმნა და ჩამოყალიბდა სხვადასხვა კლუბი : კინოკლუბი ,,ილუზიონის'', STEM კლუბ ,,კვანტუმი''. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლასთან, რომლის საფუძველზეც სკოლაში ფუნქციონირებს ,,საშაბათო სკოლა‘‘.

ამგვარი პროექტები წარმოაჩენ, რომ სკლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები.

ამასთან ერთად, როდესაც სკოლაში იგეგმება შემეცნებით-გასართობი ექსკურსიები, სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად აწესრუგებს აღნიშნულ დოკუმენტაციას. კერძოდ, ექსკურსიის გეგმასა და დამრიგებლის განაცხადს თანერთვის: დირექტორის ბრძანება; დამრიგებლის (მასწავლებლისგანცხადება, მშობლების განცხადება, ექსკურსიის გეგმა და მონაწილე მოსწავლეთა სია; მონაწილე პედაგოგთა სია; მძღოლების პირადო; ტრანსპორტის ტექნიკური ინსპექტირების ანგარში; **4.2.1.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა ღიაა უკუკავშირისა და ინიციატივების მისამართით. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ის რეგულაგრულად იღებს უკუკავშირს დაინტერესებული პირებისგან. უკუკავშირის მირება ხდება: სოციალურ გვერდზე - პოსტზე კომენტარის სახით, სკოლაში ჩატარებული გამოკითხვის სახით, სხვადასხვა შეხვედრებზე (მშობელთა საერთო კრებები). **4.2.1.6. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;
არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია;
კლუბების მუშაობის ამსახველი მასალები;
მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
ტრანზიციის წესი;
განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს კარიერული დაგემგვისა და პროფესიული ორიენტაციის პროცედურებს. განსაზღვრავს მიზენებს, სამიზნე აუდიტორიას (მოსწავლე და მშობელი); ადმინისრაციის ფუნქცია-მოვალეობებს აღნიშნული მიართულებით. გარდა ამისა, დამრიგებლები რეგულარულად ხვდებიან მოსწავლეებს და აცნობენ პროფესიებს. დაწყებით საეხურზე ეს შემოიფარგლება პროფესიების გაცნობით, საბაზო და საშუალო საფეხურლზე მოსწავლეები სტუმრობენ პროფესიების შესაგბამის სამუშაო ადგილებს (ფიზიკის მასწავლებელთან ერთად განხორციელდა ვიზიტი ჰიდროელექტროსადგურ „ხობი 2“, მოსწავლეებმა ნახეს კონკრეტული სპეციალობის მწონე ადამიაების სამუშაო ადგილები). აღსანიშნავია ასევე, მოსწავლეთა ვიზიტი ჯვარის პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“, ადგილზე ეცნობიან კონდიტერის, ელექტროინჟინრის, მკერავის, პროგრამისტის, შემდუღლებლის და სხვ. პროფესიებს. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სკოლის ადმინისტრაცია აწარმოებდა მოლაპარაკებას ადგილობრივ თვითმართველობასთან, რათა დაინტერესებული მოსწავლეები წაეყვანათ სენაკშიპროგრამირების კურსებზე. სკოლა ამ მიმართულებით, სამომავლოდ გეგმავს წინსვლას და აღნიშნულ კოლეჯთან მემორანდუმის გაფორმებას და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სხვადასხვა პროექტების განხორციელებას. **4.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლა სადამრიგებლო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ამ მხრივ განსაკურთებული ყურადღება IX, X, და XI კლასების მოსწავლეებს ექცევა. **4.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მიზნად ისახავს მომსახურების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას და ამისთვის აქტიურად უთმობს ყურადღებას მოსწავლეთა, მშობლების და პერსონალის მიერ მიწოდებულ უკუკავშირს. უკუკავშირის მიღება ხდება რეგულარულად სხვადასხვა ფორმით –

პირადი შეხვედრები, გაკვეთილების ან ღონისძიებების დროს მიღებული მულტიფუნქციური შეფასება, ზეპირი რეკომენდაციები. მიღებული მონაცემების საფუძველზე სკოლა განიხილავს საჭირო ცვლილებებსა და ინოვაციებს, რაც ხელს უწყობს სერვისის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.**4.2.2.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;
დამრიგებლის ანგარიში და პორტფოლიო;
სოციალურ ქსელში (Facebook) გამოქვეყნებული ფოტო მასალები;
მემორანდუმი სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლასთან

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მკაფიო და სრულყოფილი მექანიზმი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებასთან. შიდა რეგულაციებში დეტალურად არის განსაზღვრული სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, დამტკიცებისა და მონიტორინგის პროცედურები, პასუხისმგებელი პირები და ვადები.

სკოლა ავლენს მზადყოფნას ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისთვის — შექმნილია შესაბამისი ჯგუფები დირექტორის ბრძანებით და განსაზღვრულია შიდა მონიტორინგის მექანიზმები.

სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური გეგმები. ჰყავს 16 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და 2 სპეციალური მასწავლებლები. **4.2.3.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

თითოეულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქოენ მოსწავლეზე, დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინდივიდუალურ სასწავლოგ ეგმაზე მომუშავე ჯგუფი. გეგმის მიხედვით მიმდინარეობს ამ ჯგუფის მოქმედება, რესურსს ოტახში გამოკრულია თითეეულ მოსწავლესთან მუშაობის განრიგი. საპეციალურ მასწავლებელს, თითოეულ მოსწავლეზე შექმნილი აქვს პორტფოლიო და აწარმოებს მას. პორტფოლიო შედგება ორი ნაწილისაგან : ადმინისტრაციული, რომელშიცინახება

ადმინისტრაციული დოკუმენტაცია (სხდომის ოქმები, შედეგების ანალიზი და ა.შ.) მეორე ნაწილი : პროცესის მიმდინარეობის ამსახველი - მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებები.
სკოლას ასევე შემოშავებული აქვს მოსწავლის ტრანზიციის გეგმა, რომელიც გულისხმობს მოსწავლისთვის ხელშეწყობას, რთა მა შეძლოს მომავალში პროფესიი დაუფლება, ტრანზიციის გეგმისმიხედვით შერჩეულია პროფესიული კოლეჯიც. **4.2.3.2. ინდიკატორი შეესაბამება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი;
სასკოლო სასწავლო გეგმა ისგ ჯგუფის ოქმები;
რესურს ოთახის
ისგ სამოქმედო გეგმა;
ტრანზიციის გეგმა;
მასწავლებელთა და მოსწავლეთა პორტფოლიოები.
4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას აქვს არასავალდებულო ხასიათის დამატებითი მომსახურება: ტრანსპორტირების სერვისი. ტრანსპორტირების სერვისი მოქმედებს 2 კმ-ზე დაშორებით მცხოვრები მოსწავლეებისთვის, სერვისის ღირებულების დაფარვა ხდება მუნიციპალური ხარჯებით. ტრანსპორტირება ხდება დამტკიცებული მარშრუტებისა და განრიგის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს დამფინანსებელი სკოლასთან შეთანხმებით, მოსწავლეთა უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს

ტრანსპორტირების მომსახურების ტაბელის აღრიცხვის წარმოებაზე და ხელმოწერაზე პასუხიმგებელიპირი.სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლასთან, აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა, მოსწავლეებს (არამხოლოდ ამ კონკრეტული სკოლის მოსწავლეებს) სთავაზობს ფასიან შაბათის სკოლას მათემატიკაში. **4.2.4.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით, დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **4.2.4.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა დამატებითი, არასავალდებულო მომსახურებების განხორციელებისას სრულად იცავს მოქმედი მოთხოვნების არსს და უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით. სკოლა დამატებითი მომსახურებების მიწოდებისას მოქმედებს პასუხისმგებლიანად, სისტემურად და სრულ შესაბამისობაში აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებთან. **4.2.4.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ტრანსპორტის განრიგი;

სკოლის დირექტორის ბრძანება ტრანსპორტირების მომსახურების ტაბელის აღრიცხვის წარმოებაზე და ხელმოწერაზე პასუხიმგებელიპირის განსაზღვრის შესახებ;

მემორანდუმი სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლასთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულები არიან დირექცია, საგნობრივი კათერების წევრები, მშობლები. შემუშავების პროცესში პედაგოგები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს.კათედრებზე ხდება სასკოლო კურიკულუმების შემუშავება, წინა წლის კურიკულუმების განხორციელების ანალიზის საფუძველზე ხდება საგნობრივი კურიკულუმების მოდიფიცირება. კათედრის თავჯდომარე ხარისხის მართვის ჯგუფის თავჯდომარესთან ერთად აკვირდება პროცესების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში გასცემს უკუკავშირს .

გათვალისწინებულია მოსწავლის, მშობლის ინტერესები, რომელიც გამოვლენილ და დადგენილ იქნა გამოკითხვის (პირადი შეხვედრები მშობლებთან, მშობელთა კრების ოქმები სოციალური ქსელი, ვებგვერდი) მეთოდით. დოკუმენტით სკოლა განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებს, ვალდებულებებს, სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სასწავლო წლის პროგრამებს და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს. გამოყოფილია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი და კურიკულუმის განხორციელების ეტაპები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან, კათედრის სხდომის ოქმებიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, გამოკვეთილია საზოგადოების პრიორიტეტები. საგნობრივ კურიკულუმებში ხაზგასმითაა ნაჩვენები ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმი (გამოკითხვა, დამრიგებლის როლი, თემის ინტერესები, დირექციის აქტიურობა და ა.შ.). მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივი კათედრის წევრებსა და დირექციაზე, მაგრამ იკვეთება მშობლების ჩართულობაც. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს, როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში საგაკვეთილო გარემოში. მშობლები დადებით უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრებზე და მასში მონაწილეობას იღებს კათედრის ყველა წევრი. შექმნის პროცესში პედაგოგები ინაწილებენ სამუშაოს, ადგენენ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტს თითოეული კლასისათვის, ერთმანეთთან ათანხმებენ განსახორციელებელ შემოქმედებით და შემაჯამებელ დავალებებს, განსახორციელებელ პროექტებს, და სხვ. აწვდიან ინფორმაციას დირექციას. სკოლის დირექცია ფასილიტაციას უწევს ხარისხის მართვის პროცესს. კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. მომავალში სკოლა გეგმავს, მოსწავლეთა და მშობელთა კიდევ უფრო აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მშობლის, მოსწავლის, მასწავლებლის უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი დოკუმენტები დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას აქვს იმის გამოცდილება, რომ კურიკულუმი გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. მშობელთა და პედაგოგთა გამოკითხვის შედეგად ირკვევა და ასევე სკოლის დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ დამრიგებლები და პედაგოგებიც აცნობენ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, რათა ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლისთვის. ასევე ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, ხდება მათი მხრიდან მოსწავლის ინფორმაციის გაზიარება სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით. მშობლის ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს შემდეგ მექანიზმებს: სოციალური ქსელი, მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა საშუალებითაც ხდება არსებული სასკოლო/საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. ადმინისტრაციის როლი ჩანს კურიკულუმის განვითარების და გაზიარების პროცესებში. სკოლა ერთიანი გუნდია, რომელიც ემსახურება მოსწავლის

განვითარებას და მის პიროვნულ ზრდას. შემუშავებულია მოსწავლეთა დაჯილდოების ფორმები. ხდება მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. სამივე საფეხურის კურიკულუმისა და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება) საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. გაზიარება ხდება კათედრებზე, მშობელთა კრებებზე, სოციალურ ქსელში, ვებგვერდზე. მშობლები მონაწილეობენ სასკოლო აქტივობებში, პროექტებში , სასკოლო ღონისძიებებში. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმი კიდევ უფრო ფართოდ იქნას გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯარო იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მშობლის ანკეტა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სასწავლო საგნების (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია ,ქიმია, ფიზიკა) წარმოდგენილ კურიკულუმში ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებების დამუშავების მეშვეობით ყოველი თემის შესწავლის

	პარალელურად. წორად არის განაწილებული კურიკულუმებში მოქმედი ესგ -ის სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები შეესაბამება დასამუშავებელი თემის ფარგლებს. ცირედი ცდომილება გამოიკვეთა ბუნებისმეტყველების მე–3 და მე–4 კლასის კურიკულუმების სავალდებულო თემებთან დაკავშირებით, მაგრამ პედაგოგებთან ონლაინ რეკომენდაციის მიცემის შემდეგ საკითხი დაიხვეწა და კურიკულუმები შესატყვისი გახდა ესგ–ის მოთხოვნებთან. თემების შესწავლისას მუშავდება საგნისთვის განკუთვნილი სამიზნე ცნება გარკვეული მოცულობით, რასაც უზრუნველყოფს შუალედური მიზნების სახით შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებების შესრულება სავალდებულო თემების შესაბამისი საკითხების დამუშავებით. იკვეთება, რომ დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე ინტერესებზე, შესაძლებლობებზე და ხელს უწყობს მრავალფუნქციური უნარების განვითარებას. სასწავლო თემების დამუშავებისთვის გათვლილია სავარაუდო საათები საგნის წლიური საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით. კურიკულუმებში ძირითად სასწავლო რესურსთან ერთად ”სასკოლო სახელმძღვანელო” წარმოდგენილია დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, როგორც ფიზიკური მოხმარებისთვის, ასევე ელექტრონული რესურსების სახით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებასა. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, ექსკურსიები. საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნების არჩევა მოსწავლეთა ინტერსების გათვალისწინებით ხდება. **რჩევა**: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) კარგი იქნება, თუ კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ტრადიციების შესწავლა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის საქმიანობა მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფას. კათედრის წევრები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის უნარებს, ინტერესებსა და საჭიროებებს. ინგლისური ენისა და რუსული ენის კურიკულუმში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ასახულია

	შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, პროექტები და აქტივობები ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინდივიდუალური განსხვავებებისგაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის დასახელებით გათვალისწინებას გულისხმობს. კურიკულუმი ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, არამედ იმ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და შემოქმედებითი ზრდისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. , რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მის პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში ცნებებთან ერთად მიეთითოს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაწავლისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შეჯამების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც საგნობრივი პედაგოგები იყენებენ სასწავლო წლის დაგეგმვისას. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში პედაგოგებს გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები, რათა ახალი სასწავლო წლის პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, საგნის

	საფეხურებრივი სტანდარტის შედეგების რეალიზების გზები კურიკულუმში ნაჩვენებია კომპლექსური/ შემოქმედებითი ბუნების დავალებების სახით. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს ელექტრონული რესურსების უფრო ხშირ გამოყენებას. **ინდიკატორი შეესაბამისობაშია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის ანალიზისა და პედაგოგთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი სრულად არის ორიენტირებული მოსწავლის განვითარების ეტაპებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე. დოკუმენტურად შემუშავებული მეთოდოლოგია ეყრდნობა გასული წლის შედეგების ანალიზს, რაც უზრუნველყოფს სწავლების ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებას. კურიკულუმში რეალიზებულია საფეხურებრივი სტანდარტის მოთხოვნები, სადაც სამიზნე ცნებები და სავალდებულო თემები ასახულია კომპლექსური, შემოქმედებითი დავალებებისა და პროექტების სახით. პროგრამა ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, არამედ იმ ტექნოლოგიური უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის პიროვნული და შემოქმედებითი ზრდისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კლასებში შემუშავებული კურიკულუმი შექმნილია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმებში საგნობრივი სტანდარტების მიხედვით გაწერილია თემები და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშა**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიცნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის. აქვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესში მიმდინარეობს პროექტებით სწავლება. წარმოდგენილია არაერთი სასწავლო პროექტი საგნების მიხედვით. როგორიცაა: “მწვანე ქიმია”, “დედამიწის დღე” და სხვა. ხორციელდება მარტივი კვლევითი სამუშაოების შესრულება ვირტუალური ლაბორატორიის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით და სკოლის ბაზაზე არსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის რესურსების გამოყენებით. **ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. გრძელვადიანი მიზნების (სამიზნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება შესაბამისი საკითხებით, დამახმარე სასწავლო რესურსებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	უცხოური ენების მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებითა და პრინციპებით. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალურ მიდგომაზე დაფუძნებული სწავლების განხორციელებას. ამასთანავე, ეროვნული სასწავლო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებაზე, რაც უცხოური ენის სწავლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი შემოქმედებითი დავალებებით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენირებული სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, კულტურული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და თვითგამოხატვის უნარის ფორმირებას. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ესგ-ის საუძველზე ჩამოყალიბებულ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებთან. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რაც ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების რეალიზაციის წინაპირობაა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები, სამიზნე ცნებები, საკითხები. წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესასრულებლად მოსწავლეს ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება და სიღმისეულად ააზრებინებს მასალას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგი და სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, საკითხები. კათედრას გააზრებული აქვთ მოსწავლეთათვის ფუნქციური უნარების განვითარების მნიშვნელობა და ამ მიზნით პედაგოგები ახორციელებენ პროექტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	ფიზიკური აღზტდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნაზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას სამივე საფეხურზე კურიკულუმი შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტზე

	დაყრდნობით, ითვალისეინებს საგნის მიზნებს , შედეგებს და საგნის სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი სრულად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. იგი ორიენტირებულია არა მხოლოდ მშრალი თეორიული ცოდნის გადაცემაზე, არამედ იმ პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რომლებიც მოსწავლეს თანამედროვე სამყაროში დასჭირდება. პროგრამაში მკაფიოდ არის გაწერილი ყველა სავალდებულო თემა და საკითხი. სწავლების პროცესი აგებულია ნაცნობი მაგალითების გამოყენებით, რაც ეხმარება მოსწავლეებს ახალი ცოდნის მარტივად ათვისებასა და მის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კლასებში შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეულ თემაში შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები და აქტივობები უზრუნველყოფს მიზნის შესაბამისი საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას და საგნობრივი ცნებების გაცნობიერებას, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სკოლის არჩევით წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო რესურსები გრიფირებული სასკოლო სახელმძრვანელოების სახით, ასევე საგნის სპეციალისტების მიერ შერჩეული დამატებითი სასწავლო რესურსები სხვადასხვა ფორმატით: ვიდეო რესურსი, სამეცნიერო ლიტერატურა, ცენტრის მიერ ლიცენზირებული საგნობრივი შინაარსის სახელმძრვანელოები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განკუთვნილი რესურსები: სქემები, პლაკატები, მოდელები, მუდმივი პრეპარატები, სხვადასხვა თვალსაჩინოებები, ქიმიური რეაქტივები. ხოლო განახლებას საჭიროებს ექსპერიმენტისთვის/ცდებისთვის ჩასატარებელი საჭირო უსაფრთხო გარემო. არის

	მზაობა/მოლოდინი რომ გაუმჯობესდება მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის ლაბორატორიის აღჭურვილობა — როგორც სასწავლო ასევე მატერიალური რესურსებით და უზრუნველყოფილი იქნება ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის საგნებისთვის საჭირო კვლევითი/ ექსპერიმენტული დავალებების შესრულება. ამ ეტაპზე იკვეთება უსაფრთხოების წესების დაცვა მარტივი კვლევების ჩატარებისთვის შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით. აშკარად ჩანს , რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მათი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე, რასაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებული, სკოლაში არსებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო მასალის შეთავაზება, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. საბუნებისმეტყველო სასწავლო ლაბორატორიის მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის საგნების სასწავლო პროცესის კვლევითი/ ექსპერიმენტული დავალებების შესრულებას. **ინდიკატორი შეესაბამება**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამატებითი რესურსები, შემეცნებითი ვიდეორესურსები, ფოტო მასალა, თემატური რუკები. სხვადასხვა ვებ-გვერდები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი, რაც შესაბამისად უზრენველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, როგორც ძირითადი, ასევე დამტებითი, ხელს უწყობს შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის კათედრა იყენებს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსს, მათ შორის ვიზიუალურსა და ციფრულს, დამატებითი რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფს სასწავლ პროცესის ეფექტიან წარმართვას და სწავლის შედეგების მიღწევას. ისინი შერჩეულია ესგ-ის მიზნებისა და კურიკულუმში აღწერილი კომპეტენციების გათვალისწინებით.

	რესურსები მოიცავს როგორც საბაზისო მასალებს, ასევე დამხმარე რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ინდივიდუალური საჭროებების გათვალისწინებასა და საგნობრივი შედეგების ეფექტურად მიღწევას. ამ რესურსების დახმარებით შესაძლებელია სწავლების პროცესის გამრავალფეროვნება და თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი და ინლუზიური გარემოს შექმნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. საგნობრივ კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული/შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: კურიკულუმი მოიცავს როგორც სახელმძღვანელოს, ასევე, დამატებით ელექტრონულ რესურსს. ყველა რესურსი უკავშირდება სამიზნე ცნებებს და შედეგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** **რჩევა:** სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონი სეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ფარგლებში, კათედრას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული კომპლექსური დავალებების სისტემა. წარმოდგენილ დეტალურ პრეზენტაციებში ნათლად აისახება სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაფუძნებულია სწორედ ამ კომპლექსურ დავალებებზე. მნიშვნელოვანია, რომ დავალების პირობები სრულყოფილია და მომზადებულია ყველა აუცილებელი კრიტერიუმის გათვალისწინებით.

	პროცესის ეფექტურობისთვის შერჩეულია შესაბამისი დამხმარე მასალები და საგანმანათლებლო რესურსები. ეს რესურსები სრულად უზრუნველყოფს იმას, რომ თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს კურიკულუმით დასახული სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევა. წარმოდგენილი ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები: გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ინკლუზიური განათლების კუთხით სკოლას აქვს შესაძლებლობა წარმატებით განახორციელონ სასწავლო პროცესი ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით. დიფერენცირებული სწავლება საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებისთვის განვითარების პროცესშია და იკვეთება რომ გააუმჯობესებენ მომავალში. ასწავლებლების მხრიდან საუბრით დასტურდება დიფერენცირებული სწავლებისთვის მათი საქმიანობა და შესაბამისი დავალებების მომზადება სხვადასხვა მზაობის მქონე მოსწავლისთვის. სინი მტკიცებით ფორმაში აღნიშნავენ, რომ გარდა არსებული დიფერენცირებული დავალებებისა სხვა ტიპის დავალებებს შეიმუშავებენ და გამოიყენებენ მოსწავლეთა მზაობის და საჭიროების შესაბამისად. ასევე იკვეთება რომ მოსწავლეთა ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ჩატარებული აქვთ სხვადასხვა ექსპერიმენტული და პრაქტიკული სამუშაოები, შექმნილია შემოქმედებითი პროდუქტები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, მათი შესაძლებლობის გამოვლენას, შექმნილი პირობებისა და მიწოდებული დავალებების შესაბამისად მიიღონ სრულფასოვანი და მათი შესაძლებლობის ადეკვატური განათლება საბუნებისმეტყველო საგნებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნებში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმი ასევე იძლევა მოდიფიცირების საშუალებას; მასში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი.

	სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღწერილი მრავალფეროვანი აქტივობები იძლევა დიფერენცირების საშუალებას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. კათედრა სასწავლო პროცესში იყენებს მოსწავლეებისადმი დიფერენცირებულ მიდგომებს და არჩევს მათთვის ადაპტირებულ აქტივობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მასწავლებლები ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება გამოხატოს საკუთარი ცოდნა მათთვის მისაღები ფორმით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება მოსწავლეთა სურვილების და მზაობის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლის საჭიროებების, ინტერესების, მზაობის, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის ჩართვის მიზნით მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტარტეგიებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. კათედრა სასწავლო პროცესში იყენებს მოსწავლეებისადმი დიფერენცირებულ მიდგომებს და არჩევს მათთვის ადაპტირებულ აქტივობებს. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომას, ინტერვიუზე აღინიშნა, რომ სამივე საფეხურზე სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე. კათედრაზე შემუშავებულია შესაბამისი ისგ. დოკუმენტში მითითებულია გრძელვადიანი

	და მოკლევადიანი მიზნები, ადაპტირებული დავალება, მიზნის მისაღწევი აქტივობები და შეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** **რჩევა:** კურიკულუმში ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია და არ მოიცავს ინდიკატორის დამადასტურებელ ყველა მასალას (მაგალითად: ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, მოსწავლეთა შეფასებებისა თუ მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ამსახველ დოკუმენტებს), უშუალოდ ტექნოლოგიების საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები მაღალ დონეზეა მომზადებული. კურიკულუმებში მკაფიოდ არის განსაზღვრული სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები და შერჩეულია მრავალფეროვანი რესურსები. დავალების პირობები საშუალებას იძლევა, რომ ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას მოსწავლეებმა გამოიყენონ არჩევანის თავისუფლება, რაც საბოლოო პროდუქტის მრავალფეროვნებას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. კურიკულუმი იძლევა მოდიფიცირების საშუალებას თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. გამოიყენება ადაპტირებული რესურსები და დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების სამ კომპონენტიანი (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და განმავითარებელი შეფასების სისტემები. თითოეული ტიპის შეფასება ხდება წინასწარ ფორმულირებული, სტანდარტის შედეგებზე/სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული და შესასწავლი თემის, საკითხის შინაარსობივ კონკრეტიკაზე დაყრდნობით, შეფასების კრიტერიუმებით. ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ განმსაზღვრელი შეფასებისას კრიტერიუმების ფორმულირებისას გამოყენებულია სტანდარტის შედეგები, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების ფორმულირებისას სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგნები. შეფასება ხდება ესგ–ის პრონციპების შესაბამისად, დაწყებითში განმავითარებელი შეფასება მე–5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით, ხოლო მე–5 კლასის მეორე სემესტრიდან ყველა კლასში მოსწავლეები ფასდება, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. საგნების მიხედვით შექმნილი აქვთ და წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც არის როგორც კონკრეტული (საგნობრივი) ასევე ზოგადი (ყველა საგანში გამოსაყენებელი). შეფასება 10 ბალიანი აქვთ და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გათვლილია 6 ქულიან შეფასებაზე., ხოლო 4 ქულა რომელიც შეფასებას შეავსებს 10 ქულამდე გაწერილი აქვთ გარკვეულ კრიტერიუმებად, როგორიცაა, ორგანიზება, მზაობა სასწავლო პროცესისადმი და სხვა. ასევე შემაჯამებელი სამუშაოს ტესტურ დავალებებში 1, 2 და 3 ქულა რა დატვირთვით იწერება განმარტებულია მოსწავლისთვის. შეფასებისას მასწავლებლები იყენებენ რემედიაციას, რომლის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა ცოდნის გაუმჯობესება, უნარების განვითარება. რიგი შემაჯამებელი დავალებების თანხვედრილად წარმოდგენილი აქვთ რემედიაციის გეგმა სხვადასხვა საგნებში. მასწავლებლებს **მიეცათ რჩევა,** რომ თითოეული რემედიაციის შემდეგ მოსწავლემ მარტივი ნაშრომის სახით წარმოადგინოს რემედიაციის საფუძველზე განმტკიცებული ცოდნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების სამ კომპონენტიანი (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და განმავითარებელი შეფასების სისტემები. თითოეული ტიპის შეფასება ხდება წინასწარ ფორმულირებული, სტანდარტის შედეგებზე - სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული და შესასწავლი თემის, საკითხის შინაარსობრივ კონკრეტიკაზე დაყრდნობით, შეფასების კრიტერიუმებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარების განვითარებაზე,

	ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და ორიენტირებულია მათ განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	შეფასება მიმართულია მოსწავლის უნარებისა და ცოდნის განვითარებაზე. სამივე საფეხურზე მოქმედებს განმავითარებელი და სამ კომპონენტიანი განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით ჩანს, რომ მოსწავლეები ფასდებიან წინასწარ შემუშავებული რუბრიკებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება დაფუძნებულია კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას და ითვალისწინებს როგორც შემოქმედებითი პროცესის, ისე შედეგების შეფასებას. იგი მოიცავს ფორმატიულ და შემაჯამებელ შეფასებებს, რაც ეხმარება მოსწავლეს პროგრესის გაცნობიერებაში და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. ამ მიმართულებით შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებზე, თვითგამოხატვის უნარზე, ესთეტიკურ აღქმაზე, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრაზე და მოტივაციის გაზრდაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებებით. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები. კათედრამ წარმოადგინა ორივე სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	კათედრა იყენებს სამკომპონენტიან შეფასებას. მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრამ წარმოადგინა ორივე სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია სხვა რუბრიკებიც, რომლებიც ზოგადია და საჭიროებს მეტ კონკრეტიკასა და მორგებას სამიზნე ცნებებსა და ინდიკატორების მისაღწევ შედეგებზე. სასწავლო პროცესში გამოიყენება ზეპირი და წერილობითი უკუკავშირის ფორმებიც. (განსაკუთრებით დაწყებით კლასებში). კათედრამ განახორციელა მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება დაწყებით და საბაზო საფეხურზე და წარმოადგინა შესაბამისი მასალა. ინტერვიუდან ირკვევა, რომ პედაგოგები სწავლა- სწავლების პროცესს წარმართავენ გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრისკენ ორიენტირებული აქტივობების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

	რჩევა: სასურველია, შეიქმნას და გამრავალფეროვნდეს რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლა აქტიურად იყენებს სამკომპონენტიან შეფასებას, სოლო ტაქსონომიასა და განმავითარებელ უკუკავშირს (როგორც ზეპირს, ისე წერილობითს), რაც მოსწავლის პროგრესის სიღრმისეულად გაზომვის საშუალებას იძლევა. პედაგოგების მიერ ჩატარებული დიაგნოსტირების საფუძველზე, სასწავლო პროცესი იგეგმება კონკრეტული გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** **რჩევა:** წარმოდგენილი ზოგადი რუბრიკების ნაწილი საჭიროებს დამატებით კონკრეტიკას, რათა უფრო ზუსტად მიემართოს სამიზნე ცნებებსა და ინდიკატორებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასებში) სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით - წარმოდგენილია როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალების რუბრიკების ნიმუშები შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საგნობრივი კურიკულუმები
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლიგია
შეფასების რუბრიკები
შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა
შესრულებული შემაჯამებელი დავალების ნიმუშები
დიფერენცირებული მიდგომით შესრულების აქტივობების ამსახველი მასალა
ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა მათემატიკა-ფიზიკა VIII კლასი
ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა მათემატიკა- ისტ V კლასი
ისგ
დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა
სასწავლო პროცესის შეფასება(გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა)
პროექტის გეგმა,, ჩემი მომავლის ეკო სახლი”
პროექტი ,,მათემატიკა ყველგან და ყველაფერში ”
პროექტის გეგმა ,, რობიკო მრავალკუთხედების ქვეყანაში“
კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი
კათედრის თავმჯდომარის ანგარიში
საგნობრივი კურიკულუმი (თითოეული საგნისა და კლასისთვის სამივე საფეხურზე)
კათედრის სამოქმედო გეგმა
კათედრის სხდომის ოქმები (2 ოქმი)
განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონკრეტული დავალებისთვის (ინგლისური ენა მე-5 კლ; რუსული ენა მე-10 კლ;)
განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა კონკრეტული დავალებისთვის (ინგლისური ენა მე-5 კლ; რუსული ენა მე-10 კლ)
შეფასების (საშინაო დავალების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის) რუბრიკები
მოსწავლეთა ნამუშევრების ამსახველი ვიზუალური მასალა (ფოტო-ვიდეო)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო საგნებში (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით და წარმოადგენს სასკოლო კურიკულუმის ნაწილს. რაც ეფუძნება ესგ–ის მოთხოვნებს და საგნობრივ სტანდარტებს. პრიორიტეტულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნების მიღწევა, რაც უზრუნველყოფს საფეხურის შედეგის მიღწევას. ოველივე ეს ნათლად არის გამოკვეთილი სასკოლო კურიკულუმის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების კურიკულუმებში. არმოდგენილი მასალები ნათელყოფს, რომ სასწავლო პროცესი მასწავლებლებს მიჰყავთ არსებული კურიკულუმების მიხედვით, რიგ შემთხვევებში მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით და მათი მოთხოვნების შესაბამისად უმატებენ აქტივობებს, სასწავლო რესურსებს, ან დაგეგმილს ამოიღებენ დღის წესრიგიდან, რაც ერთმნიშვნელოვანესად მოწმობს, რომ მასწავლებლები ეწევიან კურიკულუმის პოზიტიურ განვითარებას და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თანხვედრილად ხდება სხვადასხვა ინოვაციური, თუ სიახლეების დანერგვა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. ასევე

	იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად მიმდინარეობს შეფასება, სასწავლო პროექტების/არაფორმალური განათლების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები 2025-2026 სასწავლო წლისათვის შემუშავებული კურიკულუმებია, სასწალო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტები. სწავლება ემყარება ესგ-ს მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების განვითარებას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. პედაგოგებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა მუდმივად მუშაობენ კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის სასწავლო საქმიანობა ეყრდნობა სასკოლო კურიკულუმს. დაგეგმილი აქტივობები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. **რჩევა:** მუშაობის დაგეგმვისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა თავიდან ავიცილოთ იმაზე მეტი საქმიანობის დაგეგმვა, რაც განხორციელებისთვის რთული ან მოუხერხებელია. მიზანია, ყველა აქტივობა იყოს შესრულებადი და მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად შედეგიანი. იმ შემთხვევაში, როცა კურიკულუმში ხდება ცვლილებები, დროულად იქნეს შეტანილი შენიშვნა შესაბამის დოკუმენტში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლება ემყარება ესგ-ს მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების, ესთეტიკური აღქმის, თვითგამოხატვისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები, თემატური თანმიმდევრობა, მიზნობრივი აქტივობები და სხვადასხვა ტიპის ამოცანები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. გაკვეთილები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი ისე, რომ მოხდეს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება. მაგალითად, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განიხილავენ მხატვრულ სტილებს, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს, ტექნიკებს და ქმნიან ინდივიდუალურ ნამუშევრებს. მუსიკაში მოსწავლეები ეცნობიან მუსიკის გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს და

	მუზიცირებენ მღერითა და მათ მიერ შექმნილი მუსიკალური საკრავებით, მსჯელობენ მახასიათებლების როლზე ნაწარმოების მხატვრული სახის შექმნაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური /შემოქმედებითი ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კურიკულუმში სწორად არის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. შერჩეული საკითხები იძლევა თემისა და სამიზნე ცნებების საფუძვლიანად დამუშავების შესაძლებლობას. გეგმაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალებების იდეები და ქვეცნებები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, ხდება კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობების,

	რესურსების, შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირება, გამრავალფეროვნება ან ადაპტირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კურიკულუმის განვითარება მოიცავს ოთხ ფაზას: შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, და გადასინჯვა და რევიზია. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს. ისინი აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე. ამ გამოცდილების საფუძველზე, სასწავლო წლის დასრულებისთანავე, იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. კათედრის თავმჯდომარეები ატარებენ კათედრის სხდომებს, რათა შეისწავლონ დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემები და დანერგონ ინოვაციები. დირექტორის მოადგილეები აწყობენ სამუშაო შეხვედრებს კათედრის ხელმძღვანელებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები და მუშავდება რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად. დირექტორის მოადგილეები, კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით, ყოველწლიურად განაახლებენ კურიკულუმს და ამზადებენ დასამტკიცებლად.ხდება კომპიუტერული ტექნიკითა და ახალი სასწავლო რესურსებით აღჭურვა . ეს პროცესები უზრუნველყოფს, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებზე და მუდმივად აუმჯობესებს სასწავლო პროცესს. მასწავლებლები მუდმივად ახდენენ შემოქმედებითი ტიპის დავალებების პირობების ადაპტირებას კლასის დინამიკისა და მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.კურიკულუმი ითვალისწინებს რემედიაციის წესს, რომელსაც სკოლა გამოიყენებს საჭიროების შემთხვევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან–განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუ მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი, ზეპირი კომენტარი, რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან და თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ასევე ჩანს, რომ შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები მიემართება საგნობრივი სტანდარტის შედეგებისა და გრძელვადიანი მიზნებისკენ. გაწერილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმის აღწერილობა, რაც შეფასებას ხდის ვალიდურს, სამართლიანს და ობიექტურს. იკვეთება, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა, შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები სხვადასხვა თემების შესაბამისად. სკოლაში ხორციელდება შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, მასწავლებლები აკეთებენ თვითრეფლექსია, რაც პროცესს ორიენტირებულს ხდის

	შედეგზე. არაფორმალურ განათლება კავშირშია ფორმალურ განათლებასთან და მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებით ხდება მოსწავლეთა შეფასება კომპლექსურად ფორმალური და არაფორმალური განათლების ანალიზით. პროცესში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. შეფასების რუბრიკები გაზიარებული აქვთ სასკოლო საზოგადოებასთან და მშობლებთან, რაც კიდევ უფრო ზრდის შეფასების გამჭვირვალობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში მეტნაკლებად განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა ძალისხმევას და მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია, თუ კონკრეტულად რა კრიტერიუმებით ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. შეფასება ეფუძნება იმ კომპონენტებსა და უნარებს, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა დაფუძნებულია ვალიდურობაზე, გამჭვირვალობაზე, სანდოობასა და ობიექტურობაზე. უცხოური ენების კათედრის წევრები იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. მოსწავლეები კარგად იცნობენ წარმოდგენილ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასება ემყარება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია სასკოლო კურიკულუმში და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებსა და მასწავლებლებისვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და წინასწარ ინფორმირებულობას. ვალიდურობა გარანტირებულია იმით, რომ შეფასება ეფუძნება იმ კომპონენტებსა და უნარებს, რომელიც ესგ-თ არის განსაზღვრული. სანდოობა და ობიექტურობა მიიღწევა სტანდარტიზებული კრიტერიუმებისა და მრავალმხრივი შეფასების ფორმებს გამოყენებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. დავალებები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორის დამამტკიცებული დოკუმენტაცია (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი დავალებების

	ანალიზი) რუბრიკები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია** **რჩევა:** სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ ტექნოლოგიების საგანში შეფასების სისტემა სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს ეფუძნება. ვინაიდან სისტემა ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა, იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ვალიდურ და რეალურ შედეგებზე დაფუძნებულ გაზომვას. პედაგოგები შეფასების პროცესში აქცენტს აკეთებენ გრძელვადიან მიზნებზე — სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე. თუ აქამდე, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, შეფასება ძირითადად ზეპირი კომენტარებით შემოიფარგლებოდა, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის დანერგვის პროცესში თითოეული თემისთვის შემუშავდება ინდივიდუალური შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია ერთობლივად კათედრაზე, კრიტერიუმები უკავშირდება სტანდარტით გათვლალისწინებულ საგნობრივ სამიზნე ცნებებს , რაც უზრუნველყოფს მათ ვალიდურობას და სანდოობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის წესი, რომელიც მოქმედებს როგორც დაწყებითი, ისე საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. მისი მიზანია შეფასების სისტემისა და პროცედურების ხარისხის უზრუნველყოფა, შემფასებლების მხარდაჭერა და დახმარება, რათა მოხდეს შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესება, აღწერილია ვერიფიკაციის მიმართულებები, დაგეგმვა და წარმართვა, ვერიფიკატორის ფუნქციები, ვერიფიკაციის სიხშირე, პერიოდი, ანგარიში და შედეგები, ვერიფიკაციის წესი სკოლაში შედარებით ახალი დოკუმენტია და გამოყენებული იქნება შემდგომ პროცესებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. დოკუმენტაცია ინახება სკოლის არქივში, რომელზეც პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი.სკოლაში ვიზიტისას, სკოლამ წარმოადგინა გასული წლების შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლა ინახავს, საგნობრივ კათედრებზე, შესრულებულ შემაჯამებელ დავალებებსა და მათი შეფასების რუბრიკებს. ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ასახულია მოსწავლის პირად საქმეებში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები
შეფასების რუბრიკები
შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა
შემაჯამებელი დავალების ანალიზები
დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა
ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა
განხორციელებული პროექტის გეგმები
კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი
საგნობრივი კურიკულუმი (თითოეული საგნისა და კლასისთვის სამივე საფეხურზე)
კათედრის სამოქმედო გეგმა
კათედრის სხდომის ოქმები (2 ოქმი)
განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონკრეტული დავალებისთვის (ინგლისური ენა მე-5 კლ; რუსული ენა მე-10 კლ;)
განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა კონკრეტული დავალებისთვის (ინგლისური ენა მე-5 კლ; რუსული ენა მე-10 კლ)
შეფასების (საშინაო დავალების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის) რუბრიკები

მოსწავლეთა ნამუშევრების ამსახველი ვიზუალური მასალა (ფოტო-ვიდეო)
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ინგლისური ენა მე-2 და მე-4 კლასები; რუსული ენა მე-5, მე-7, მე-11 კლასები)
შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები
მოსწავლის პირადი საქმეები
შემაჯამებელი დავალებები
ვერიფიკაციის მექანიზმი
ელექტრონული ჟურნალი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი სასწავლო რესურსი: სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული მოსწავლის სახელმძღვანელო. ასევე დამატებითი სასწავლო რესურსები: ვიდეო მასალა, სამეცნიერო ლიტერატურის ამონარიდები, ცენტრის მიერ ლიცენზირებული საგნობრივი შინაარსის ლიტერატურა, ინტერნეტ სტატიები და სხვა სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალები, როგორიცაა სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები (დამატებითი ლიტერატურა, სქემები, ფოტომასალა, მოდელები და სხვა). წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას გამოიყენება სწორედ ის სასწავლო რესურსები რაც კურიკულუმშია მითითებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრულია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. დამხმარე რესურსის ფარგლებში ფართოდ გამოიყენება აუდიო და ვიდეო რესურსები. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. პედაგოგებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ დამხმარე რესურსებად ასევე, იყენებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს. სარგებლობენ სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია მაგალითები შედარებისთვის. დამხმარე

	რესურსების ნუსხა წარმოდგენილია კათედრის სხდომის ოქმის დანართში. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია გაკვეთილის მიზნების მისაღწევად მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსი. ძირითადი რესურსები მოიცავს ესგ-თან შეთანხმებულ სახელმძღვანელოებსა და პროგრამულ მასალებს, რომლებიც ემსახურება საგნობრივი მიზნების მიღწევას და მოსწავლეთა საფუძვლიანი ცოდნის ფორმირებას. დამხმარე რესურსის ფარგლებში ფართოდ გამოიყენება აუდიო და ვიდეო მასალები, მხატვრული ნამუშევრები, ვიზუალური რესურსები და საგანმანათლებლო აპლიკაციები. ასევე ჩართულია ხელოვნების ნიმუშების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების განხილვა და ხელნაკეთი მუსიკალურ ინსტრუმენტებზე პრაქტიკული მუშაობა, რაც ხელს უწყობს უნარების განვითარებას და შემოქმედებითი პროცესის გააზრებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული / შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. დამხმარე სასწავლო რესურსებად კურიკულუმში ასახულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმში მკაფიოდ არის განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე **ციფრული და მატერიალური რესურსები**. პედაგოგი სასწავლო მასალებს მიზანმიმართულად არჩევენ შუალედური და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად, რისთვისაც

	ფართოდ იყენებენ სპეციალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, ინტერაქციულ პლატფორმებსა და თავად მოსწავლეთა მიერ შექმნილ ციფრულ პროდუქტებს. რესურსების, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვილობისა და დამხმარე ლიტერატურის შერჩევისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ტექნოლოგიურ ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები, გვხვდება ციფრული რესურსები. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობების განხორციელება შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს, რის მტკიცებულებასაც წარმოადგენს მათ მიერ შექმნილ კურიკულუმებში თემის შესაასწავლად დაფიქსირებული დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც პასუხობს იმ მოთხოვნებს რასაც სტანდარტი ითხოვს მოსწავლეთა სწავლებისა და მათი განვითარებისთვის. წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები აშკარაა აკმაყოფილებს იმას, რომ შეიქმნას სწორი პროდუქტი. მასწავლებლები ადასტურებენ, რომ საგნობრივი თემატიკის სწავლებისა და სტანდარტის შედეგის მისაღწევად დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად. მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა და უსადაგებენ განსახოციელებელ აქტივობებს, რომ მოსწავლემ მარტივად შეძლოს დავალების შესრულება და საჭირო დასკვნები გააკეთოს. **რჩევა:** სასურველია სკოლაში შეიქმნას დამხმარე რესურსების ვალიდაციისთვის საჭირო დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს რესურსების ვალიდაციის პროცესს და ვალდებულებასაც გაუჩენს მასწავლებლებს, რომ ერთობლივად, კვალიფიკაციის შესაბამისად მოახდინონ რესურსების შერჩევა/ვალიდაცია და გაუზიარონ კოლეგებს სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განხილული და განსაზღვრულია საგნობრივი კათედრების მიერ. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	დამხმარე რესურსების შერჩევისას კათედრა მოქმედებს შეთანხმებულად. უზრუნველყოფილია დამხამრე რესურსების ისე შერჩევა, რომ ისინი შესაბამისი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს მუსიკისა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნების მიმართულებით გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. სკოლა მიმართავს რესურსების შინაარსობრივ შეფასებას, რაც ითვალისწინებს მათი საგნობრივ მიზნებთან, ასაკობრივ თავისებურებებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებულ მოთხოვნებთან თანხვედრას. მასწავლებლები, ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში საგნობრივი ჯგუფები ერთობლივად უზრუნველყოფენ იმ მასალების არჩევას, რომლებიც ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო მპროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. დამხმარე სასწავლო რესურსებს მასწავლებლები არჩევენ კათედრაზე. გამოიყენება ისეთი მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღწერეს თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის წევრები ერთობლივად არჩევენ დამხმარე ციფრულ და მატერიალურ რესურსებს. შერჩევის პროცესში პედაგოგები მაქსიმალურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ტექნოლოგიურ ინტერესებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საგნის სპეციფიკას, რაც სასწავლო პროცესს უფრო ეფექტურსა და მრავალფეროვანს ხდის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით.**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ამ ეტაპზე სკოლის ბაზაზე არსებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების სწავლებისთვის არსებული მატერიალური რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. ისინი ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ იყო უსაფრთხოების წესები დაცული: არ იყო დამონტაჟებული გამწოვი კარადა, არ იყო სველი წერტილი. სკოლა აღნიშნავს, რომ უახლოეს პერიოდში გეგმავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის რესურსებით გამრავალფეროვნებას, განახლებას და შევსებას მეტი ახალი/თანამედროვე რესურსებით და ამ საქმისთვის სპონსორიც ყავთ. ლაბორატორიის ახალი რესურსებით აღჭურვა კიდევ მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეებს მატერიალური რესურსებით, რაც დაეხმარებათ სწავლის შედეგების მიღწევაში. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას, სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის დამადასტურებელი ფოტო მასალა, კერძოდ დამონტაჟდა გამწოვი,

	სველი წერტილები, ცეცხლმაქრები, ქვიშა. შესაბამისად საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღწურვილია სტანდარტის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კლას-კაბინეტებში განთავსებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სწავლებისთვის შესაბამისი რესურსი: რუკები, პლაკატები, გლობუსი. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტი. რესურსები ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სკოლა აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით. სივრცე ათვისებულია გონივრულად. მოსწავლეებს გააჩნიათ ძირითადი და აუცილებელი სასწავლო რესურსები. უცხოური ენების გაკვეთილებზე მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეებისთვის აუდიო მასალის მიწოდებას. **რჩევა:** სასურველია, უცხოური ენების კათედრისთვის ცალკე იყოს გამოყოფილი აუდიო აპარატურა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მაერიალური რესურსით. სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე საგანმანათლებლო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც შესაძლებელს ხდის თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას და უსაფრთხო, კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, ინტერნეტით, მრავალფეროვანი რესურსებით, რაც საშუალებას იძლევა, ეფექტურად წარიმართოს სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით: ძირითადი სასწავლო რესურსით - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ციფრული რესურსებით, კომპიუტერით, პროექტორით, ინტერნეტთან წვდომითა და ინკლუზიური მასალებით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას.მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე საგანმანათლებლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და შეუფერხებელი ინტერნეტკავშირით, რაც სასწავლო პროცესის ეფექტურ წარმართვასა და მრავალფეროვანი ციფრული რესურსების გამოყენებას ხდის შესაძლებელს. საკლასო სივრცეში დაცულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც ქმნის უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს. აღნიშნული ხელს უწყობს თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას და პედაგოგებს აძლევს ინდივიდუალური მიდგომების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, რომელთაც აქვთ კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაცია. სასკოლო საგნებს ასწავლიან შესაბამისი განათლებისა და სტატუსის მქონე, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომელთაც სწავლების უფლება მინიჭებული აქვთ კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში 1 მენტორი, 5 წამყვანი სტატუსის, დანარჩენი უფროსის სტატუსის პედაგოგი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები
შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა
შემაჯამებელი დავალების ანალიზები
დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა

კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი
სასკოლო სასწავლო გეგმა
ვერიფიკაციის მექანიზმი
კათედრის ოქმი რესურსების შესახებ
მატერიალური რესურსები (ინვენტარიზაციის ოქმი)
პირადი საქმეები
საგნობრივი კურიკულუმი (თითოეული საგნისა და კლასისთვის სამივე საფეხურზე)
კათედრის სამოქმედო გეგმა
კათედრის სხდომის ოქმები (2 ოქმი)
მოსწავლეთა ნამუშევრების (პროექტები და შემოქმედებითი ტიპის დავალებების) ამსახველი ვიზუალური მასალა (ფოტო-ვიდეო)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო პროცესში ჩართულია სკოლის გუნდი, საგნობრივი კურიკულუმების დანერგვისა და განხორციელების პროცესს აკვირდება კათედრები, დირექტორი, მასწავლებლები. ინტენსიურად თანამშრომლობენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. აწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. დასახულია კურიკულუმის განვითარების გზები,

მონაცემთა შეგროვების ვადები, განსაზღვრულია პასუხისმგებლობები. სასკოლო საზოგადოება ჩართულია მონიტორინგისა და შეფასების სისტემაში, რაც მათი ეფექტურობის საფუძველია. სასწავლო წლის განმავლობაში ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელბაზე, რომლიც საბოლოოდ დასრულდება სასწავლო წლის ბოლოს. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.** სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრთა მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს. დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის ჯგუფის მიერ მიწოდებულ უკუკავშირებს, განმავითარებელი შეფასების კომენტარებს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომელიც ორიენტირებულია მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე. მონიტორინგი და შეფასება სკოლაში წარმოადგენს პრობლემების გადაჭრის საშუალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

მონიტორინგი და შეფასება სკოლაში წარმოადგენს პრობლემების გადაჭრის საშუალებას, ხარისხის მართვის ჯგუფი აკვირდება კურიკულუმის განხორციელებისა და განვითარების პროცესს, საგაკვეთილო პროცესებს და იძლევა სათანადო უკუკავშირს , მასწავლებლები სასწავლო წლის ბოლოს აკეთებენ თვითშეფასებებს , კათედრის თავმჯდომარეები ამზადებენ ანგარიშს , ეს ყველაფერი გათვალისწინებული იქნება ახალი სასწავლო წლისთვის. მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას საქმიანობის სწორად წარმართვაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიის თანახმად, მასწავლებლები ვალდებულნი არიან, აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილონ მშობლებთან, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლა თავად ირჩევს , რა ფორმით მოხდება მშობლების ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია ეხმარება სკოლის დირექციასა და დირექტორის მოადგილეს, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფუძნება სასწავლო პროცესის საჭიროებებს. ეს პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმის ყოველწლიურ განახლებას და დასამტკიცებლად მომზადებას.ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ხდება არსებული ხარვეზების გამოვლენა და სამომავლო გეგმების დასახვა. პედაგოგები კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული შემოქმედებით და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს. ერთბლივად გეგმავენ შედეგების გასაუმჯობესებელ

სტრატეგიებს.. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იქნება ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული იქნება ცვლილებების სახით. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
სასკოლო სასწავლო გეგმა
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
კათედრის სხდომის ოქმი
ბრძანება ხარისხის ჯგუფის მართვის შესახებ
ხარისხის მართვის დებულება
სასწავლო პროცესის შეფასების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების დოკუმენტები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ამის დასტურია ხარისხის მართვის დოკუმენტი , რომელიც უზრუნველყოფს ამ პროცესებს, ხდება სასწავლო პროცესების გადახედვა და შეფასება
შეფასება სასწავლო პროცესის არის მრავალმხრივი, დასაქმებულ პირთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, ხარისხის მართვის ჯგუფის დასწრებას და მათ მიერ მონიტორინგისა და შეფასების პროცესების განხორციელებას.
სამივე საფეხურზე შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, მაგალითად, კითხვარები სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, ასევე იყენებს კათედრის თავმჯდომარეების, ბიბლიოთეკარის, სკოლის ექიმის, საინფორმაციო მენეჯერის, მატერიალური უზრუველყოფის მენეჯერისა და სხვათა ანგარიშებს.
შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მაგალითად კითხვარები მოსწავლეებისა და მშობლებისთვის, ტექნიკური პერსონალის მოსაზრებების გასაცნობად გასაუბრება ფოკუს-ჯგუფის ფორმატით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ის ფაქტორი, რაც ხელს უშლის ან უწყობს ამ პროცესს გავთვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. მაგალითად, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; ფასდება არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივი ცოდნა, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება და ტრანსფერი რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებული სააზროვნო უნარები. სამომავლოდაც, სკოლა გამოხატავს მზაობას, დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და მზად არიან შეიმუშაონ ეფექტური შეფასების მექანიზმები, რომლის მიზანია შეისწავლოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები. თუმცა, შეფასების ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მასწავლებლებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა მათი მზაობა შეფასებისას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების საკმაოდ მრავალფეროვან მეთოდებს: კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. ჩანს, რომ პერსონალი შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, ხდება სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება, ამგვარი ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლა მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად აპირებს განსაზღვროს ის საშუალებები, რომლითაც განახორციელებს სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას და მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით და გეგმავს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარის გამოსავლენად მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებას , რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მიღწევების გაუმჯობესებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორი: სოციალურ გარემო, ოჯახი, ინტერესები- ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. თუმცა, სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. სამომავლოდ იგეგმება, რომ შეფასებისას მკაფიოდ გამოჩნდეს, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები
სასკოლო სასწავლო გეგმა
კათედრების ოქმები

სასწავლო პროცესის ურთიერთშეფასება
მშობლების ანკეტა
სასწავლო პროცესის შეფასება
ბრძანება სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნის შესახებ
ხარისხის მართვის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

მოცემულ ეტაპზე სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მექანიზმის შექმნა, რომლის მიზანია გადაწყვეტილებების მიღება და სამომავლო პერსპექტივის შეფასება. ახალ სასკოლო კურიკულუმის რევიზიაზე მუშაობა წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესში დაიწყო და ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მიზნებს, სასწავლო რესურსებს, სწავლების

მეთოდებს, შეფასებას და მასთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს. სამომავლოდ ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. რაც ასევე დასტურდება გადმოგზავნილი სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტით.
იქმნება რეკომენდაციების ნუსხა, პროცესში ჩართულია ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, სკოლა ეტაპობრივად ახდენს კურიკულუმის რევიზიას და შეაქვს გარკვეული ცვლილებები. ახალი კურიკულუმის შედგენისას სკოლა ეფუძვნება წინარე გამოცდილებას, ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ მუშაობას ამ კუთხით. კათედრები გეგმავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას. მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგის აქტივობებს დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს ხარისხის განვითარების ჯგუფი და დირექტორი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრებმა გამოხატეს მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებიც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;
კურიკულუმის მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

-

6.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ნადარეიშვილი

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი(წევრი) :
ანა კოკოჩაშვილი- ახვლედიანი

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, შორენა ნიკოლეიშვილი
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი: მარინე კვარაცხელია

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი: მარგარიტა ჯიქია

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი: მაკა ინაშვილი

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი: მანანა ჯაყელი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი: მაია ფხაკაძე

ტექნოლოგიების ექსპერტი : გიორგი ტაბუცაძე:
სპორტის ექპერტი : გიორგი ბერიძე

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი: მადონა ბობოხიძე